

Б 3 8 3 0 0

## ერმათა საკითხები

## საზოგადოებრივი სურათებიანი

đã mua

ଶ୍ରୀକୃତିବ୍ୟାକାରୀଙ୍କ ପାଦମୁଦ୍ରାରେ ଲାଗୁ ହେବାର ପାଇଁ

## (შპობელთა და აღმზრდელთა ფუნქციები)

2879-1  
2165 a (2) මෙයින් සිංහල පොදුවේ  
ක්‍රිස්තියානි ආග රජුවේ පොදුවේ

N<sup>o</sup> N<sup>o</sup> N<sup>o</sup> VII, VIII & IX

ବ୍ୟାପକ ଅନୁଷ୍ଠାନିକ କାର୍ଯ୍ୟ କରିବାକୁ ପାଇଁ ଏହା ବିଶେଷ ଉପର୍ଦ୍ଧତା ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ।

തബ്ദിലാസര.

Եղբայրութեան համար առաջ կատար է առաջարկ առ պատճենագործութեան համար, որին էլեմենտը կատար է համարակալ համար՝ № 7

# თ თ ლ გ მ ა

დანართი მარცხენა

ა დ ა ბ რ ი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Октября.

სტამა ი. გ. მელიქიშვილისა.

6 1 6 0 6 1



აფურჩელო გლეხის შვილო, შე ჰაწაწინა!  
 „ეგრე ტყბილად, უდარდელად რამ დაგაძინა?  
 „დედის მკერდსა მიგიგნია შენ ტყბილი ბინა...“  
 დაიძინე, გენაცვალე, ნანავ-ნანინა!

შენ რა იცი, დედა შენი რამ მოაწეინა!  
 თავს გევლება, ნანას დაგმდერს, ძლივს მიგაძინა.  
 იმ ნანაში შავი ფიქრი არეს მოჭვინა...  
 დაიძინე, გეთავეგანე, ნანავ-ნანინა!

წენარად გულზე მიგისუტა და მიგაწვინა,  
 გაკოცა და ფარატინი ზედ მიგაფინა.  
 ოჯახისა ზრუნვამ შენთვის არ მოაცდინა...  
 დაიძინე, დააცდალე, ნანავ-ნანინა!

საცა არის, მამაც მოვა ეანიდამ შინა,  
 გნახავს, ტყბილად გაიღიმებს შსოლოდ მაშინა.  
 ისე სშირად ბედს ეძღურის, რად გააჩინა...  
 დაიძინე, მოისვენე, ნანავ-ნანინა!

გაიზოდები და შეიტეობ მას ვინ აწეინა,  
 წუთი-სოფლის სიამოვნე რამ არ აჩვენა.  
 წიგნს ისწავლი და შეხედავ, რა გაქვს თვალწინა,  
 მანამ ტყბილად დაიძინე, ნანავ-ნანინა!..

X—X.

6 8 0 8 6 8

ბუზი-პუზილა და უუტყარი-ზუზუნა.



არი ბუზი ბზუილით ვაძოფრინდა სა-  
ხლიდგან, გაქანა ვარდნარისკენ დ იქ ბან-  
ჯგლიანი ფუტტბრი დაინასა, ოომელიც  
თავის მომრვებლო ნემტრით ვარდის  
ტკბილს წვენს სწუწნიდა.

— გამარჯობა, ნათლი ჯან! ასე მიუგბა ბუზი  
ჭუტყარსა.

— გაგიმარჯოს!

— აქ რას აკეთებ?

— ვაგროვებ მასალას ფიტისა დ თავფლისათვის.

— ნეტავი შენ! რამდენი საქმე გაქცე!.. მე... მე კი  
სულ არაფერი!.. ვარ ჩემთვის უდარდელად. დავფრი-  
ნავ სუფრის ასლო-მასლო დ უველაუერი შეათა მაქს. რასაც კი სახლში შემოიტახენ: წვენსა, რძესა, პურსა,  
სორცსა, სუსკლაფრიდამ ჩაფიცემრიელებ პირსა: ვწუწ-  
ნი დ ვწუწნი ტკბილს, ნოუიერს წვენსა და ვიძღობ  
პშვისა. სანდისხან, თუ მოვახელე, შენს თავფლსაც არ  
დავაკლებ ხელს; შაქრის ნაძლევებსაც მივირთმევ... ოო-  
დესაც გაფძლები, დავიწუობ ოთახში ნავარდობას, ფრე-  
ნას, ბზუილს... ჩემ შრომად ის თუ ჩაითვლება, სან-  
დისხან საკუთარი კლანჭებით სიფრიფანა ფრთების

წმინდა რომ მომიხდება სოლმე, თორემ სხვა არაფე-  
რი... ეჭ! რა ტკბილი ცხოვრება მაქს!

— ჴთ, ბუზო-ბზუილავ, შენ ტკბილი ცხოვრება ვაქს,  
მაგრამ მე მაგნაირი ცხოვრება ბეჭრად არაფრად მე-  
ჭამნიკება. უმილასი თქმებ გდეგნიან, გქელავენ დ სცდი-  
ლობენ დედა-ბუდიანად ამოგ ხოცოს, რომ თქმები სახ-  
სწერებელი აღარ იუს ქვემანასე. ობიბას დ გუდიან  
ჩიტებს თუ გამოადგები საუზმედ, თორემ სხვას არა-  
ვის. მე კი გმრე უსარგებლო არა ვარ. ჩემი სანთე-  
ლი დ თაფლი ქებულია დედა-მიწაზე. მე ქრისტენაც  
უხთებ სანთელსა და ადამიანსაც უტყბობ საჭმელსა;  
ამიტომ შენსავით არა ძღვენიან. პირ-იქით, კოხტა დ  
შევწიერს ბადებში მიღებენ სკასა დ მე, ჩემ და-მებ-  
თან ერთად, განუწევებლივ ვმუშაობ. ეჭ, რაღა ბევრი  
გელაბარაკო, დობილო! მომშორდი! შენთან საუბედოდ  
დრო არა მაქს: ეკლამდინ საქმით სავსე ვარ! მშვი-  
ღობით!

უცხ... უცხ... უცხ... უცხ!

ტკბილი წვენით დატვირთული ფუტბარი იქმი, ას-  
ლო მდებარე საფუტბოლი მიჭვრინდა და თაფლ-ფი-  
ტის ქეთება დაიწეო.

ბზხ... ბზუ... ბზხ... ბზუ!

ბუზი შეჭრინდა კლების სახლში, დასკუნდა პა-  
ტარა ბავშვს შუბლზე, უაბინა დ დაბწივლა საბრალო....  
მთევ ჯანაშვილი.

## ମତଳାଶନାଳା

ଅତାଶି, ଜ୍ଞାନଶି ଓ ବାଦଶି.



୭

ବେଳା, ହେଠାର ଶାର୍ଦ୍ଦର୍ଦ୍ଦୀ,  
ହେଠ ସାକ୍ଷଳ୍ସ ଘର୍ଗର୍ବନ୍ଧୀ.

ଫେରନ ପିତାକାରୀ,  
ରୋଥ ହେଠ ସାକ୍ଷଳ୍ସ ଧୃତି  
ରିକ୍ଷ ପ୍ରେରଣୀର ଧର୍ମକ୍ଷର୍ମତ୍ତ୍ଵୀ.  
ଧୃତି ପାଇଲେବାର ପିନାକାର୍ତ୍ତ,  
ଧୃତିରେ ପାଇଲେବାର ପିନାକାର୍ତ୍ତ,  
ଧୃତିରେ ପାଇଲେବାର ପିନାକାର୍ତ୍ତ,  
ଧୃତିରେ ପାଇଲେବାର ପିନାକାର୍ତ୍ତ.

ତୁମର ପିନାକାର୍ତ୍ତ, ଏହାର ପିନାକାର୍ତ୍ତ ଏହାର  
ପିନାକାର୍ତ୍ତ:—ପିନାକାର୍ତ୍ତ, ଏହାର ପିନାକାର୍ତ୍ତ ଏହାର  
ପିନାକାର୍ତ୍ତ ଏହାର ପିନାକାର୍ତ୍ତ ଏହାର ପିନାକାର୍ତ୍ତ?

- ଧୃତି? ଧୃତିର ଧର୍ମି... ଏହା ପିନାକାର୍ତ୍ତ, ମୁଁ କି ଏହା?
- ପିନାକାର୍ତ୍ତ.
- ଏହା, ଏହା ପିନାକାର୍ତ୍ତ?
- ମାତ୍ର କାରିଗର, ମୁଁ ପିନାକାର୍ତ୍ତ ଦାମିବରେ ଏହା ମୁଁ ପିନାକାର୍ତ୍ତ,

როგორ კეთდება აგური. მაგრამ კარგი დარია. მო-  
დი წავიდეთ აგურ-ხანებსე. სომ იცი რა არის აგურ-  
ხანა? უმთავრესი ნაწილი აგურ-ხანისა არის ქურა,  
ხადაც სწერ ან აკეთებენ აგურს; ქურაშივე, აკეთებენ  
სხვა-და-სხვა მიწის ჭურჭელს, მაგ.: ლიტრებს, კოკებს,  
ჯამებს, ქოთხებს და სხვ. თუ არ გინახავს, წავიდეთ.  
იქვე გიამბობ და შენი თვალითვე დაინახავ, როგორ  
აკეთებენ...

გიგოს უხარია. წავიდა ტანთ-ჩასაცმელად...

— მე შხათა ვარ, სანდორ, წავიდეთ! დამიჭირა  
ხელი და გამიუვანა ქუჩაში.

მშენიერი დღე. მივდივართ ჩქარის ნაბიჯით.  
გიგო მოუსვენრად მეგითხება:— მორის არის?...

აი, კიდეც მიგედით.

— აბა, რომელია?

— ავრ, ბოლი რომ ამოდის, სომ ხედავ?

— ვხედავ.

— ქურიდამ ამოდის ის. მიგ გამოუმწვარი აგუ-  
რები აწევია და სწერ... აი, მუშებიც ჩაძგარან ტა-  
ლისში და ზელავენ.

ამ ტალიას აგურის გასაკეთებლად ამზადებენ. აგუ-  
რი ჰველა მიწისა არ გაკეთდება. აგურის მიწას ჰქონიან  
თისა. თისა არის მოუკითხანო, წებოიანი, რეინა-ნარე-  
ვი მიწა და ჰველგან ერთნაირი არ არის; ზოგან მსუ-  
ქანია, ზოგან კი ქვიშიანი (ქვიშა-ნარევი). აგურის

გასაკეთებლად მსუქანი თისა უქვეიმოთ არ გამოდგება. ქვიშა-ნარევი საჭიროს იძისათვის, ორმ უკეთ გამოშევს, არ დაიფშვნას, არ დასქვდეს.

ჩენში აგურს ისე აკეთებენ, ოოგორც რამდენიმე ასი წლის წინად. აი, ამ მუშას, ოოგორც ხედავ, დიდი კმტი უქირავს და მოზიდულ მიწაში ნარევ კორახებს ჰბუგვავს, ფშვნის. მეორე მუშას ცხრილი დაუღამს და მიწას ცხრილავს. უურე, ცხრილს აქეთ რამდენი ქვა—კენჭი და დაუბეჭვავი მიწა რჩება! გაუცხრილავი მიწით გაკეთებული აგური მაღვე დაიფშვნება, დასქვდება, ესე იგი, უვარვისი აგური გამოვა. წელან ნანასი მუშები კი ისევ ტალახში დგანან და, რაც მაღა და ღონე აქვთ, ზელავენ გაცხრილს, წელნარევ მიწას. შეხედე, ოფლში ოოგორ იწურებიან...

— განა მნელია ტალახის ზელა?

— მნელია, გიგო. არ გასხოვს, რომ ტალახში სიარულით უფრო მაღვე დაღლილიასარ, ვიდრე მმრალზე. ეს საცოდავი კი მთელი დღე სიცხე-ზაპანა-ქებაში დგას მოუსუნორად; სან ერთს ფეხს იღებს ტალახიდგან დამძიმებულს და შეივე ფლავს და სან მეორეს.

— უკედა მუშაობა მნელია, სანდორ?

— არა. ამაზე ბევრად მნელიც არის და ადგილიც.

— მერე ისინი ოოგორ მუშაობენ?

— ოოგორც ეს. არ გაგიგონია ეს ანდაზა: „გაჭირება მიჩვენე, გაგცევას გიჩვენებო?“ რომ

არ იმუშაონ, დღიურ ლუპმას მოკლებულნი იქნებიან და შიმშილით დაისოცებიან. ზოგს მოსუცებული დედმამა ჰქავს, ზოგს წერილი მმები და დები, ცოლი ჭ წერილ-შვილი... ერთი მუმა ერთ ოჯახსაც ვაი გაგ-ლახით არჩენს სოლძე.

— რათა? ფულებს სომ ბევრს იღებენ? მე მასსოდს, როცა მამა ბაღს აკეთებინებს, სულ იმას იმასის: გა-მუვლითეს, რამდენი ფული მიაქვთ ამ შეჩერებულებსო.

— იმდენს არ იღებენ, რამდენიც საჭიროა ადა-მიანის ცხოვრებისათვის და, თუ მამასგან გაგიგონია გამუვლითესო, ალბად, უხუმრია.

— რატომ ბევრს არ იღებენ?

— ჸა, ჸა, ჸა!... კარგი იქნებოდა მეტი მიეცათ მა-გრამ არ აძლევენ... ამაზე, გიგო, სხია დროს ვილა-შარბკოთ, თორებ შინ წასვლა მოგვიგიანდება და დე-და გაგვიჯავრდება.

ჭო, იმას გეუბნებოდი, განაგრძო სანდოომ: რი-გიანად მოზელილ თიხას ისეთი თვისება აქვს, რომ ბევრნაირ შეხედულობისა და მოუგანილი ნივთი გე-დება, მაგ. გარეარა ლიტრა... რა ლამაზად არის გა-კეთებული! წამომეე: აი, ამ ვაკეზე აგურს აკეთებენ. ერთს მოაქსს ტალახი, მეორე მიწაზედ სდებს თოხ-კუთხიან უალიბს და ავსებს ტალახით; სტეპნის, ას-წორებს. აი, მოუსვა წემოდამ ხის დანა, აიღო ფა-ლიბი და მიწაზე თოხ-კუთხი, უველგან ერთხაირად

სქელი, ლაპაზად მოყვანილი ტალანის სისქე დარჩა.  
 აი, გააკეთა მეორე, მესამე, მეოთხე... ორი-სამი ღღე  
 ამ სისქის უქო ჩირი შრება, მერე გადაბრუნებ-  
 ბენ, რომ დანარჩენი მხარეები შეაძროს და, როცა  
 კარგად გაძომმრალი ალისი (გამოუმწვარ აგურს  
 ალისი ჰქეიან) იმდენი იქნება, რომ ერთი ქურა აი-  
 გვსის, მიჟიდავენ, ჩააწეობენ ქურაში და ქვემიდამ ცეცხლს  
 შეუკეთებენ. რამდენიმე ღღე და ღამე უნთა ცეცხლი;  
 ალაზი შრება, მაგრდება, წითლდება... აი, დაუერთოს  
 უკანასკნელი ცეცხლის ნაკერჩხალი... ერთი-ორი ღღეც  
 მოიცდიან, რომ ქურა ცოტა განელდეს და მოადგინან  
 „,ზოგოზები“, ურმები, მუმები... ერთი მუშა ქურაში  
 დგას, მეორე რამდენიმე ნაბიჯზე, მესამე ამის აქეთ,  
 მეოთხეც იქმი... და ამ გვარად აგური, სანამ ქური-  
 დამ „,ზოგოზები“ მიაღწევდეს, ხუთი-ჟესი კაცის სელს  
 გამოივლის ხოლმე.

ესლა წარმოიდგინეთ, რამდენი კაცის სელი, რამ-  
 დენი. დავი-დარაბა, რამდენი ცვლილება გამოუვლია  
 ჩვენ წინ მდებარე აგურს? ერთს მიწა მოუთხრია,  
 მეორეს მოუზიდნია, მესამეს გაუცხრილავს, მეოთხეს  
 აუზელია, მეხუთეს უაღიბში გამოუტარებია; გამძრა-  
 ლა, გადუბრუნ-გადმოუბრუნებიათ; ვერ ჰქემ ერთად  
 დაუწევიათ, ქურასთან მიუზიდნიათ; ქურაში ჩაუწევიათ,  
 იქიდამ ამოულაგებიათ და ურემზე დაუწევიათ... თვითუ-  
 ლს ჩვენს კედელში დატანებულ აგურს ამდენი გან-  
 საცდელი გამოუვლია...

აი, ცარიელი ქურაც. უკურე, რანაირად არის ამენებული! შხოლოდ თთხ-კუთხივ ატანილი გმილუ-ბია. ეს უჭრო თთახი გაუფილია პუბო-კუბო თ-ლით ისე, რომ ორი მესამედი ნაწილი ზევით რჩება და დანარ ჩენი ერთი მესამედი—ქმევით.

ამ თაღზე აწეობენ აგურს თაფ-თავ, (არა ბრტყლად) იმიტომ რომ ცეცხლის სიმსურველებ გველას კარგად დაუაროს. კარებს ამოჟქოლავენ სოლძე. ზემოდამ კამო-მწერ აგურებს დაბარებებენ, რომ წვიმბმ არ დასვე-ლოს და შემდეგ შეუგეთებენ ცეცხლის...

აგურს უველვან ამნაირად არ აჲთებენ. სამსდევრ გარეთ, უფრო განათლებულ ქავენებში, სადაც აგურს ასჯერ და ათასჯერ მეტი გასაფალი აქვს, ვიდრე აქ, სადაც ცეცხლის მასალა (შემა, ნახშირი) აგურზე ძვირია, სადაც ღროს ჩვენზე ძვირად აფასებენ, იქ სხვა-და-სხვა მაშინებია გამართული; ცეცხლსა და ორთქლს მოჟევეს მომრაობაში უველა ეს მაშინები. ერთ ადგილს კაცებ ჩაერა მიწა (თიხა), მეორე გუთხიდამ ეალიბში გამო-ტარებული, ლამბზად მოვეპნილი სუფთა ალიზი გა-მოდის. დაბეგვა, გაცხრილვა, აზელა, ეალიბში გამო-ტარება, ესენი უველა მაშინას უფრო მსწრაფად შეუ-ძლია. ამგვარმა მაშინებმა ბეჭრ მუშას მოუკლო ლუ-გმა პური... მაგრამ გაჟორული წესი ესეთია: მდიდარი ამისთვის როდი სწუხს, ოღონდ კი თვითონ ჟქონდეს მეტი მოგება.

არც ქურებია გველა ქვეუნებში ერთხაირი. ზოგან  
სემოდამ თაღით წახურული დ კომლისა დ ორთქლის  
რაძენიმე ამოსასვლელი ადგილი აქვს, ზოგან თავ-  
ახდილია (ჩვენშიაც თავ-ახდილი ქურებია), ზოგან კი  
ოსტატურად მოწეობილი თუკის სახურავები აქვს;  
მავრამ ეს ისე ძვირია, რომ ამით მხოლოდ ის სარ-  
გებლობს, ვისაც აგურის გასაკეთებლად ორთქლის მა-  
შინები უდგას.

გამომწვარ აგურს აკლდება სივრცე, სისქე დ სი-  
მიმე. რამდენი უფრო მსუქანია თისა, იმდენი მეტი  
აკლდება გამოწვამი, რადგან იგი (თისა) მეტად წელია-  
ნია და შესდგება ბევრი ისეთი ნაწილებისგან, რო-  
მელნიც აღიზში მუთხ წელის ორთქლს ასდევენ... რა-  
მდენად უფრო მსურვალეა ცეცხლი, იმდენად უფრო  
აკლდება აგურს სიმიმე და სივრცე. მომეტებული სი-  
მსურვალისაგან თისაში რეული ნივთი დწებიან, ერთ-  
მანერთს ესავებიან და, შეძლებისამებრ, ცარიელ ადგი-  
ლებს იჭერენ (მოიგონეთ ჰაერზე ნალაპარაკები „ნო-  
ბათი“—ს წინა ნომრებიდამ. უკელვან და უკელა ნივთს  
აქვს ცარიელი ადგილები, ფორები.) ცოტა მოოძინე-  
ბაც, გიგო, დ აგურზე ლაპარაკს გავათხვებთ; წაგალთ  
შინ და მადიანად სადილს შევიქცევით.

ჩემი სახლის აძენების დროს,—მაშინ მენოდენი  
ვიქებოდი,—მამა ჩემს, სხვათა შორის, მოუტანეს თრი  
ურემდ აგური, რომელიც უკან დააბრუნა. მეუცხოვა დ

მიზეზი ვკითხე. მამამ ამისსნა: უშელა აგური როდი ვარგა, მვიღო. ერთი ქურიდამ კარგიც გამოვა და ცუდიცათ. წოვი გამომწვარი და მავარია, წოვი კი გამოუწვავით. გამოუწვავი მალე იმტვრება და მკვიდრი შენობა არ ვაკეთდებათ.

— ერთ ქურაძი სხვა-და-სხვა ნაირი აგური რად ვამოდის? წომ ერთად აწევია და იწვის?

— რა მოუთმენელი სარ, გიგო! ესლავე აგისსნი მიზეზს. შამფურზე აკეტული და ცეცხლზე შემწვარი შევადი წომ გიგმია?..

— როგორ არა: გუშინაც არა გვჭრნდა?..

— ჴო, მართლა, მალიძნ კარგი. მერე არ შენიშნე, რომ გარედამ უფრო შემწვარი იქთ? ეს მიტომ, რომ გარე-პირი შიგნითზე უფრო ასლო უოფილა ცუცხოთან.

— ჴო...ო...ო! დედა ჩემი გაუჯავრდა კიდეც მალსახას: რატომ გარგად არ შეგიწვასო: გარედამ და-გისრავას და შიგნით კი უძიბო....

— მალსახა ჯერ პატარაა და იმის ბრალი როდია, რომ მწვადის შეწვა არ იცის: უველავერს სწავლა უნდა. ალბად, ბევრი ნაღვერდალი უოფილა, ხორცი შამფურზე სქლად აუგია და ცეცხლზე ახლოს სქელ ხორცს პირი უფრო შეწვის. მალსახას კი ჰერონებია სულ შეიწვაო....

აგრეთვე აგურის გამოწვანებაც ოსტატობა უნდა, თუმცა, რაც უნდა ქარგი ოსტატი იყოს, ჩეფნებურ ქურებში ისე ვერ გამოსწვავს, რომ ცოტაც გამოუწვა-  
ვი არ დარჩეს. რაც ცეცხლთან ახლოა და ქურას შეა აწევია, ისინი ქარგა გამოიწვის და დანარჩენი კი არა. ათას გამომწვარ აგურიდამ შვიდასიდამ რეაბი თომოც-და-ათამდე ქარგად გამომწვარი გამოდის. ქარ-  
გია აგური. თუ არა, შეიტეობა შემდეგის ნიშნებით:  
უნდა იყოს მაგარი, რომ გადატან-გადმოტანაში არ დაიძგრეს და სიმძიმე აიტანოს; ერთხაირად და ერთ სისქედ იყოს გაკეთებული, რომ ქედლების ამენებაში ერთმანერთს მიუწეოთ; უნდა იყოს მაღიან გამომშრა-  
ლი და გამომწვარი, რომ წეალი არ შეისვას; მძიმე არ იყოს. ეჭვა ამაებისათვის საჭიროა: ქარგად აზე-  
ლილი და ძოძხადებული თიხა, ქარგად ძოჯალიბება, ალისის ქარგად გამომშრობა და ერთხაირად დაწერ...

... ნახევარ საათზე შინ ვიუავით და მაღიანად სა-  
დილს შემძლებოდით. გიგო მოჟება ტიპტიკს. ეჭვა  
ნახული და გაგონილი უაბბო დედას და თავის ჰატა-  
რა დას. ნიჭიერი უმაწვილია გიგო, მესიერებაც ქარ-  
გი ჰქონია...

სადამოსე გარეთ ვიჯექი და ჩაის ვსამდი... გა-  
გოთბე, გიგო კი არსადა სჩნდა.

— გიგო! გიგო!...

არ მიგონებს.

ჩავედი ეზოში, მიუვდი ეზოს ბოლოს დ იქ ჩვე-  
ნი გიგო.... წარმოიდგინეთ, რას ვხედავ? ჩვენ გიგოს  
მოუგროვია თავის ტოლა უმაწვილები და ავურებს  
აკეთებენ. მოეგროვებინათ მიწა, წებლი დაქსათ დ  
ტალასს სტელულენ; სხვები სელებით, გიგოს კი  
ფეხსაცმელები გაეხადნა დ ტიტელა ფეხებით ჩამდგა-  
რიეთ ტალასში დ სელდა. ჭარხალსავით გაწითლე-  
ბოდა პირის სახე, სფითქი გადმოსდიოდა, ოფლში  
იწურებოდა: დაღლილიერ, მავრამ იმაზედ სრულებით  
არ ჰყიქრობდა... მეორე უმაწვილს, რასაცირკელია,  
გიგოს ოსტატობით, გაჟერებინა რაძენიმე აღისი.  
უალიბად „სარდინკის“ კოლოფს სმარობდენ. გიგო  
ძლივს აფიუვანე თოახმი...

— მუშა, მუშა!.. წადი ტალასში ჩაწეჭ, შე უძგხა-  
ვსო, შენა!.. სირცხვილი არ არის? უჯავრდებოდა დე-  
და: დღეს შენ უხაიოთ დარჩი!


— მუშას მიძახი, განა მუშა არ ვარგა? ჰქითხა დე-  
დას გიგომ: კაცი არ არის?... ა? სანდრო? მომიბრუნ-  
და მე და მოჰქმდა ტირილს...

— როგორ არა, გიგო: მუშა ისეთივე ადამიანია,  
როგორც მე და შენ...

— მაშ დედა რად მიჯავრდება? სოდ არა დამიძა-  
ვებიდა რა?...

— კარგი, დაშვიდდი: დედა გეხუმრებოდა.

შენი მუგობარი ანი.



პ. ၆၀ ჟაზირი \*)

(ბეჭის ნაშმიანი)

I



ე რომ პატარა ეიყავი, ჩემმა შშობლებმა სკო-  
ლაში მიმძიარეს. იქ ჩამდენსამე ხანს დაურჩი.  
ჩემი მასწავლებელი ძალიან კარგი კაცი იყო,  
ყველას კარგად ასწავლიდა; ყველთვის იმას  
სცდილობდა „შაგირდი ოსტატს სჯობნებოდა“.  
მაგრამ, მართალი გითხრათ, მე საშინელი ცულ-  
ქი და ცულლუტი ვიყავი: არც ჩემი მასწავლე-  
ბლის დარიგება მესმოდა და არც წიგნი და  
გაკეთილები მიყვარდა. ჟაველთვის ჩემს ტო-  
ლებში თამაშობა მაგონდებოდა: „თვალ-ხუჭინა“, „ძერა-დი-  
დია“, „ბურთაობა“, „კეკე-მალულა“, „ქუდი-დავლა“, „ჩილიკა-  
ჯოხი“, „ასკინკილა“ და სხვ... ღრო კი მიფრინავდა და ნაც-  
ვლად წერა-კითხვის სწავლისა მე სულ ცულლუტობას და თამა-  
შობას ვეჩვეოდი.

ჩემი შშობლები ერთობ მიწყრებოდნენ; სულ იმას მეუბნე-  
ბოდნენ: კარგად ისწავლე, გაიზრდები—გამოგადგებაო; ამ ღრო-  
ში უსწავლელი კაცი ვერ გამოდგებაო.... მე იმათ დარიგებას  
ყურს არ ვუგდები. ჩემს შშობლებზე ურჩესად ჩემი დიდ-დედა,  
ნენე, მიჯავრდებოდა და თანაც სულ იმას მეუბნებოდა: წიგ-  
ნის სწავლა შეიყვარე, თორემ ბოლოს ინანებო.

როცა-კი დალამდებოდა, სანთელს აეანთებდი, ცოტა ხანს  
შემდეგ ჩვენები ყველა ერთად შეგროვდებოდნენ და ვახშამს  
შეუდეგებოდნენ; ვახშმის შემდეგ—საუბარსა. ჩემი ბებია, ნენე-კი  
სულ მე მესაუბრებოდა და სულ იმას მარიგებდა, რომ კარ-

\* ) ჭონი—ბეჭის შეკრავია.

გად მესწავლა... ხშირად ზღაპრებსაც მომიუყებოდა ხოლმე საბა  
ობელიანის „სიბრძნე სიცრუიდამ“, ვახტანგ მეფის  
„ქილილა და მანი“-დამ, „ვარ შავიანიდამ“, „ქამარ-  
დიანი“-დამ და სხვა ამისთანა ძელ წიგნებიდამ.

მრთხელ—აღარ მახსოვეს კარგად როდის — ჩემის მასწა-  
ვლებლისაგან სწავლის ცუდი ნიშნები მივიღე. მს რომ სახლში  
შემიტყეს, დედა და მამა ძალიან გაცხარდნენ, ბებია ნენემაც  
თავი ჩაჰკიდა და ძელებურად, თავისებურად დარიგება დამიწყო.  
მე ჩემთვის ჩუმათ ვიჯექი კუთხეში, ტახტზე, მაგრამ გონება  
მაინც სულ კარში, ბიჭებში შექმნდა გართული; სულ იმას ვნა-  
ტრობდი, დედ-მამა მალე გარეთ გასულიყვნენ, რომ მეც გაესუ-  
ლიყავ და ჩემ ტოლს ბიჭებში უზომო ცულლუტობა დამეწყო.

ბებია ნენე მოჰყეა შემდეგ ძელებურს ამბავსა:

მართველების მეფის ირაკლი მეორის დროს, თბილისში,  
ანტონ მათალიკოზის სკოლაში სწავლობდა ერთი ხელოსანი  
კაცის შვილი. შმაწველი იყო ცელქი, უფრო ცელქობას ეტა-  
ნებოდა, და ამისათვის ვერ სწავლობდა, თუმცა მასწავლებლები  
ყოველს საშუალებას ხმარობდნ მის გასასწორებლად, უცელა  
ლონის-ძიება ამაռდ დარჩა. რამდენიმე ხნის შემდეგ, მათალი-  
კოზის თანხმობით, ის შაგირდი დაითხოვეს და იმის ალაგას  
სხვა მიიღეს.

სკოლაში ყოფნას ამ ყმაშვილისათვის ცუდათ მაინც არ  
ჩაუელია: იმან შეისწავლა წერა-კითხვა, ქართული ზღაპრები,  
შაირები, ლოცვები და სხვ... რამდენიმე ხანი ეს ცელქი ზიგლა—  
ეს იყო იმის სახელი—შინ დარჩა. ზაირა ცოტა ხანშაც და  
შშობლებმა ერთ ჭობს მიაბარეს. აქ რამდენსამე ხანს დაჰყო  
მან და ხელობასაც ხალისიანად შესწავლა დაუწყო.

## II

1766 წელს, მაისის ერთ მშევნიერს დილას, როდესაც  
მზემ თავისის ბრწყინვალე სხივებით თბილისის არე-მარე და  
გულამაყად მდგომარე მეტები, სიონის ეკლესია და ნარიყალის

ციხე შემოსა, იმ შშეენიერს დილას მთელს თბილისში გავარდა  
ხმა, რომ ჭონის შაგირდი, ზიგლა, დაიკარგაო... დაიწყეს ძებნა.  
მალაქის ერთ მხარეს ზიგლას მშობლები და ოსტატი ეძებდნენ  
და მეორე მხარეს ნაცნობები. დაღმდა, მაგრამ ზიგლა მაინც  
არსად გამოჩნდა. ამ შემთხვევაშ, არა თუ მარტო მისი მშობ-  
ლები, მთელი თბილისის ხალხიც შეაწუხა. შეიქმნა ჩოქეოლი:  
ყველა იმას ამბობდა, რომ ზიგლა წყალში ჩავარდაო—იმ დროს  
წყალ-დიდობა ყოფილა. ამას მით უფრო ამტკიცებდნენ, რომ  
ოსტატი ხშირად აგზავნიდა ზიგლას წყალზედ ორის ლიტრით...  
მაშინდელს დროში, თურმე, ოსტატისთვის დუქანში წყალს  
შაგირდები ეზიდებოდნენ.

ეჭვით სავსე ზიგლას მშობლები ოსტატს ედავებოდნენ თა-  
ვიანთ შეილსა.

— წუხელ სალამოს მე ის წყალზე არ გამიგზავნია; და-  
ბინდებისას დაეთხოვე, ეფიცენტოდა მშობლებს ოსტატი.

— თუ დაითხოვე, მაშ სად არის ჩვენი შეილი? მწუხარე-  
ბით ეკითხებოდნენ ოსტატს მშობლები.

— დმტრითა მოწამე, მათალიკოზის წინაშე დაეიფიცავ,  
სიონის წინაშე მუხლს მოვიდრე, მათალიკოზის წყევა-შეჩვენე-  
ბას მიეიღებ, თუ ამას ტუშილს ვამზობდე!..

ზიგლას მშობლებმა მაინც არ ირწმუნეს.

მესამე დღეს ზიგლას მშობლებმა მიმართეს სამეფო სამ-  
მართველოში და ისურევს მეფის მსაჯულის ნახეა. მსაჯულმა  
მიიღო ისინი სამეფო და საბჭო დარბაზში. ზიგლას მშობლებმა  
მისცეს სალამი და მოახსენეს შემდევი:

— დიდო ბატონო და სიმართლის მსაჯულო! ზუშინ წინ  
სალამოს ჩვენ დაგვეკარგა მცირე წლოვანი ვაჟი, სახელად ზიგლა.  
ეს მესამე დღე ვეძებთ და ვერსად ეიპოვნეთ: ყველა იმას ამ-  
ბობს, რომ ზიგლა მისმა ოსტატმა წყალზე გაგზავნა და წყლის  
ამოღების დროს წყალში ჩავარდაო.

— ვისთან იყო შაგირდათ თქვენი ყმაწვილი? ჰკითხა მსა-  
ჯულმა.

— ჰონ-ხანაში, ბატონი, ერთს ჭონთანა; სახელად პავლეს უწოდებენ! მიუგეს მშობლებმა.

— მერე ოსტატი უარს ამობს? არ გამიგზავნია?

— ღიას, ბატონი. სულ უარზე სდგას. მე ის წყალზე არ გამიგზავნია.

— მარგი. თქვენ დღეს შინ წადით, ხეალ დილით გამოცხადდით აქა. დღეს ჭონს უწყებას გაუუგზავნით და ხეალ ისიც აქ იქნება და თქვენს საქმეს გავარჩევეთ.

— იმედი გვაქეს, მსაჯულო სამართლისაო, რომ შეგვიბრა-ლებთ და სამართლს მოვეცემთ! მიუგეს ზიგლას მშობლებმა.

შემდევ მსაჯულის თანაშემწებ დასწერა ჭონის ცნობიერება, იმის სახელი და გვარი. ზიგლას მშობლებმაც თაყვანი სცეს მსაჯულსა და დაბრუნდნენ შინისაკენ.

ზიგლას ოსტატს იმ დღესვე შეატყობინეს და მეორე დღის-თვის მიიხმეს სამეფო საბჭოში მსაჯულისა და მეფის წინაშე საქმის გასარჩევად.

დანიშნულს დღეს სამეფო საბჭოში გამოცხადდა ზიგლას ოსტატი და მშობლებიც. ცოტა ხანს უკან შემობრძანდნენ: სამეფო მსაჯული, ბოქაულთ უხუცესი, ე. ი. მაშინდელი „პროკურორი“, მუშადიბი—მაშინდელი მწერალი; ამათ მოჰყენენ სხვა მრავალნი სამეფო და საქრო მოსამართლენი, რომელნიც კი საჭიროანი იყვნენ ამ საქმის გარჩევისათვის. მსაჯულნი დალა-გლენენ, დაიწყეს წინ ვახტანგ მეფის „სამართლის წიგნი“, მაღლაქია მათალიკონის დაწერილი, აღმულასი ზიორგი მეფისა, ურიული, ბერძნული და სომხური; ახსნენ ღმერთი, ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინოს სახელი და დაიწყეს გამოძიება:

— შეტა პავლე! თქვენ გიჩივიან, რომ ამათი (მიუთითებს ზიგლას მშობლებზე) შეილი თქვენთან ყოფილა შაგირდათ და ეს მეოთხე დღეა რაც აღარა სჩანს, სადღაც დაკარგულა, უთხრა მსაჯულმა ოსტატს-ჭონს.

— მერე, მე რა ვქნა, თქვენი ჭირიმე? იყითხა ჭონმა მოწიწებით.

— შენ ის უნდა მოახერხო, შეიღო, რომ მოძებნე ამათი შეიღო და ჩაბარე. ამას მოითხოვს სამეფო კანონი, მიუგო მსაჯულმა.

— ვერა, ბატონო! მე მაგას ვერ შეეძლებ; იმისი პოვნა ჩემი საქმე არ არის. მე რაც შეეძლო ვიმეცადინე: ვეძებ, მაგრამ, ვერსად ვნახე. სწორედ, როცა გაისმა ხმა ზიგლა დაიკარგა, იმის წინა დღით, საღამოს, დავითხოვე და შინ წავიდა. მს ამბავი მე იმ დღესვე ჩვენს უსტაბაშსაც გამოვუცხადე.

— თქვენ გაბრალებენ იმას, რომ დაკარგვის წინა დღით ორი ლიტრით წყალზე გაგიგზავნიათ, წყალში ჩავარდნილა და დამხრებალა, უთხრა მსაჯულმა.

— არა, დიდო. მსაჯულო! სულ ტუილი ჭორებია ესენი. მიუგო მოწიწებით ჭონმა.

— შველანი შენზე ამბობენ: შენის მიზეზით დაიკარგა ის ყმაწვეილიო. ამიტომ გირჩევ სისწორითა სოქეა, თორემ სამეფო. სამართალში მიცემი და მეფე ირაკლიც შეიტყობს.

— მალლა ღმერთს გაძლევთ მოწმათა და ძირს დედა-მიწასა, რომ მე ამათი შეიღო არც მტკეარზე გამიგზავნია და არც ვიცი სად არის. სიონთა ღვთის-მშობლის წინაშე დავითიცავ და ძათალიკოზის ქრულებს მიეიღებ, რომ მე იმ ყმაწვეილის დაკარგვაში არა მიზეზი არა მაქეს, მიუგო ჭონმა.

ბერის გამოძიების შემდეგ ჭონი და ზიგლას მშობლები დაითხოვეს სამართველოდამ და მეორე დღისთვის დაიბარეს განჩინების მოსასმენად.

ოსტატი და ზიგლას მშობლები დაბრუნდნენ შინ.

მეორე დღეს ისევ გამოცხადდნენ სამეფო დარბაზში. შემობრძანდნენ მსაჯულნიც. შველა იმას ამტკიცებდა, რომ ყმაწვეილი წყალში დაიხრიოვო. „მთელი ქალაქის ხალხი სულ ამას ამტკიცებსო“, გაისმოდა ყოველ მხრივ ხმა.

საქმის გამოძიების შემდეგ, ჭონი დამნაშავეთ სცნეს და ამიტომ ათხი თვით ნარიყალის ციხეში ჯდომა აკუთვნეს. განჩინება საქვეუნდ გამოცხადდა...

მეორე დღეს ჭრინი ჩასვეს კიდეცა და ზიგლას შშობლებმაც ერთ ხანს კიდევ ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. იმდენ გადაწყვეტილები მიეცნენ გლოვასა, მწუხარებასა; შავებიც ჩაიცვეს და საეკლესით წესებიც გადუხადეს სამუდამოა დაკარგულს შეიღის.

ასე დაეკარგათ ზიგლა თავის შშობლებს.

### III

საქართველოში, წასრულ დროს, სათათრეთიდამ შემოლიოდნენ ვაჭრები, სოედაგრები და სხეანი. იმათ ჩეენში შემოჰქმდათ: ტყავები, ზაფრანა, ძერიფასი თვლები, ჩითი, ძაფულება, სპარსული ხმელი ხილი, ქაღალდი და სხვა, რაც კი ქართველებისათვის საჭიროებას შეადგენდა. იმ დროში ამ ვეარი ვაჭარი ხალხისთვის საბინადრო სადგომებათ ქარვასლები იყო დაკეთებული. მარვასლების დიდ-ძალი ოთახები, როგორათაც ხოედაგართა დასაბინავებლათ, აგრეთვე საქონლის შესანახათაც იყო დანიშნული. იმ ვეარი ქარვასლების რიცხვი ისე დიდი იყო, რომ დღესაც კიდევ ბევრია დარჩენილი მაშინდელი გაშენებული ქარვასლები.

სწორეთ იმ დროს, რა დროსაც ზიგლა დაიკარგა, საქართველოში შემოვიდნენ მდიდარი სოედაგრები, რომლებმაც სავაჭროთ საქადე ტყავები შემოიტანეს ჩეენში. მს ვაჭრები ჩამოხტრენ ერთს ქარვასლაში, დაიჭირეს დიდ-ძალი ოთახები და დაიწყეს ამ ტყავებით ჭონებში ვაჭრობა. ჭონებმა, იყიდეს თუ არა, დაიწყეს ამ ტყავების ღაზლების დახსნა და გადმოლაგება. რამოდენიმე ტყავებზე შენიშნეს ქართულის ასოებით მელით წაწერილი, საიდგანაც ამოიკითხეს შემდეგი: „მე, ზიგლა, ჭონის შაგირდი, ამა-და-ამ დღეს რომ დაეიკარგე, აი, ამ ტყავის პატრონ - სოედაგრებმა დამიჭირეს. მე დამწყედეული ვარ ბატონი-შეიღილის ქარვასლის სარდაფების ერთ ოთახში, რომელიც ამ სოედაგრებს უჭერიათ. მიშეველეთ, თორემ დღეს თუ ხეალ, საარსეთში წამიუვანენ. მსენი თავიანთ ქარაგანს უცდიან,

ისინი ამ ერთ კვირაში გაჩნდებიან და, თუ მანამდის არ მიშველეთ, სამუღმოთ დავიკარგები“.

პონებმა, ამოიკითხეს თუ არა, მაშინათვე გაავრცელეს ხმა... პატარა შაგირდებში შეიქმნა ჩინქოლი: „ზიგლა იპოვნეს, ზიგლა იპოვნეს!... სულ ამას ჰყეიროდნენ და თანაც უხაროდათ, მაგრამ მაინც არა სჯეროდათ... მსტატებმა მაშინათვე შეატყობინეს უსტაბაშა. შსტაბაში თავის ამაღით საჩქაროთ სამეფო მსაჯულთან წავიდა, კველაფერი გამოუტადა და თან ერთი ტუავიც უჩვენა, რომელზედაც ქართული წარწერა იყო... მსაჯულმა მაშინათვე მეფე ირაკლის მოახსენა. მეფემ დაიბარა კარის კაცები, სახლთ-ხუცესი, მილახორი, ნაზირი, ქალაქის ნაცვალი და მრავალი სხვანიც და უბრძანა, რომ საჩქაროდ წადით ეს ყმაწეოლი მოსმებნეთ და დამჭერნი დაატყვევეთ; ყმაწეოლი კი აქ მოიყანეთო.

წავიდნენ სამეფო პირი, ჩაეიდნენ ქარეასლის ოთახებში და მართლაც ერთ ოთახში დამწყედეული ზიგლა იპოვეს. ზიგლას ძალიან გაეხარდა. ამ დროს სოვედაგრები იქ არ იყნენ, სადღაც მიიმაღნენ. ზიგლა წამოიყანეს.

ამასობაში ზიგლას შშობლებსაც შეეტყოთ ეს ამბავი და ფეხშიშველა გამოქცეულიყვნენ სახლიდამ ქარეასლისკენ. ზიგლა გზაში შეხედა მათ. წარმოუდგენელი იყო მათი სიხარული, და-კარგულის კი არა, მათთვის მკედარი შეილის მოპოვებით.

სამეფო პირებმა ზიგლა სამეფო საბჭოში მიიყანეს. მათვე მიჰყეა ზიგლას შშობლები და კველა ისინი, ვანც იქ იყნენ. ნაცვალმა კველაფერი დაწვრილებით გარდასცა ირაკლი მეფეს. მეფემ მოისმინა და შემდეგ უბრძანა ნაცვალს:

— ნაცვალო! მხლავ გაგზავნე კაცები და გაეცი ბრძანება, რომ ის სოვედაგრები დაიკირონ და მოიყანონ აქ.

— მხლავ, დიდებულო მეფე, მიუგო ნაცვალმა და შეუდგა კაცების გაგზავნასა.

შემდეგ ამისა მეფემ ჯიბიდამ ამოიღო ლურჯი აბრეშუმის ქისა და იქიდამ რავდენიმე აბაზი აჩუქა ზიგლას და თანაც ეს ჰკითხა:

- რა გქვიან, შეიღო, სახელად?
- ზიგლა, ღიღო, მეფეო.
- ბბა, მიამბე, როგორ დაგიჭირეს სოვდაგრებმა?
- საღამოზე ოსტატმა დამითხოვა და მე შინ მიედიოდი. გზაში ორი კაცი შემხედა. მრთმა ქართულად მითხრა: „წამო-დო ჩენითან, ჩენითან შენი ოსტატის ერთი ტყავია და წაულე საჩქაროთათ“. მე წავყევი; რომ არ წაესულიყავ, ვიჟიქე: ვაი, თუ ხვალ შემიტყოს ოსტატმა რომ უარი უუთხარ და ტყავი არ წაეიღ-მეთქი და მერე, ვინ იცის, როგორ მცემდა... მე წავყე-ვი ქარგასლაში; იქ სარდაფის ერთ ოთახში შემიტყუილეს, და-მამწყვდიეს და აღარ გამომიშვეს...
- მერე არ ტიროდი, რატომ ყვირილი არ დაიწყე? ჰეითხა მეფემ.
- ვტიროდი კიდევა, ყვირილითაც ბევრი ვიყვირე, მაგრამ, აბა, ვინ რას შეიტყობდა, ისე მოშორებით ვიყავი. მთელი ძი-რის სართულის სარდაფები სულ იმ სოვდაგრებს სჭერიათ.
- მერე არ გითხრეს, სად უნდა წაგიყვანოთო? ჰეითხა მეფემ.
- როგორ არა, ბატონო. მრთმა სოვდაგარმა მითხრა, რომ მე მდიდარი კაცი ვარო, უშეილოეთ, ჩემი ცოლი კარგი ქა-ლიაო; სპარსეთში წაგიყვანთ და ჩვენ შეიღათ აგიყვანთო; ყვე-ლა ჩვენი ქონების პატრონი შენ იქნებიო.
- მშიერს ხომ არ გინახადნენ? ჰეითხა მეფემ.
- არა, სულ კარგი და კარგი საჭმელები მოჰქონდათ, მა-გრამ მე ისინი არ მაგონდებოდა, მოუგო ზიგლამ.
- მერე ეს როგორ-ლა მოახერხე, რომ ტყავებზე დაწერე და ხალხს შეატყობინე?
- რაკი საშველი არაფერი მიჩნდებოდა და ჩემი წაყვანის დღეც ახლოვდებოდა, სულ იმას ვფიქრობდი, თავი როგორმე მექსნა ტყვეობისაგან. იქ საშუალებას მე ვერ-რას ვხედავდი, გარ-და ერთისა: იმ სარდაფში გასასყიდი ტყავები ეწყო. ჩემდა სა-სიხარულოდ, ჯიბეში აღმომიჩნდა პატარა მელის ნაჭერი: მელს ჭრის შაგირდები საჭუდე ტყავების გასაზომათ ეხმარობთ და

ამიტომაც ყოველს ჭონის შაგირდს მუდაშ ჯიბეში აქეს ხოლმე მელი. ტყავების ღაზლები დაეხსენი, თითო-თითოდ დაეაცალკე-ვი და, საღაც-კი მოვახერხე, დავიწყე იმ ტყავების ზედაპირზე წერა: როგორ დაეიკარე, როდის, ვინ დამიჭირეს და სხვა. ვიცოდი, რომ იმ ტყავებს სოედაგრები ჭონებში გაიტანდნენ გა-საყიდათ და ამ გვარად ჭონებიც შეიტყობლნენ ჩემ ამბაესა. მე იმედი მქონდა ამით მშველებოდა და დამესხნა თავი ტყვეობისა-გან... ასე მოვიფიქრე, დიდებულო მეფე!

— აბა, შეიღო! პატარაობისას წიგნს რომ არ სწავლობდი და სულ ცულლუტობდი, დღეს რომ წიგნი არა გულინოდა, იმ ტყავებზედაც ხომ ვერ დასწერდი? ვინ იცის, გაჭირებიდამ თავს ისხნიდი, თუ არა!.. უთხრა ზიგლას დედამ.

— განა წიგნის სწავლა არ უყვარდა თქვენს შვილსა? ჰკითხა სამეცო მსაჯულმა.

— არა, ბატონო: სულ ძალით ვასწავლიდით; ჩვენს სიტყვას არ იგონებდა, განსაკუთრებით მის ბებიისას, მიუგეს ზიგლას შშობლებმა.

— ვისთან სწავლობდა? ჰკითხა მეფემ.

— ანტონ ძალით ვასწავლიდის საერთო სკოლაში, დიდებულო მეცნევი.

— ვინ იყო შენი მასწავლებელი? ჰკითხა მეფემ ზიგლას.

— ჩემი მასწავლებელი პატერი ნიკოლა ტერ-ხაչკის-შეილი და პავლე ხუცესი გახლდათ, ბატონო. შეელანი კარგათ მასწავ-ლიდნენ, მაგრამ მე... არ ვმეცადინეობდი.

— მხლა ხომ დარწმუნდი, რომ წიგნის ცოდნა საჭირო ყო-ფილა კაცისთვის. აბა, რომ არ გულინოდა, დღეს თავს ხომ ვერ დაიხსნიდი გაჭირებისაგან, დარიგების ხმით უთხრა მსა-ჯულმა.

— მხლა-კი დაერწმუნდი, რომ უწიგნო კაცი ქვეყანაზე ადგი-ლათ დაიკარგება... ვმადლობ ჩემს დედმამას, რომ იმათ მე სკოლაში მიმცეს! ვმადლობ ჩემს მასწავლებელსაც, რომელიც ყოველთვის იმას მეუბნებოდა, რომ გაკეთილები კარგათ მე-სწავლა. დღეს მე იმის დახსნილი ვარ! დღეს-კი მჯერა ყველა-

ფერი, რასაც ის მარიგებდა. მჯერა ყველა ესენი და ამიტომ მინდა ყველას მაღლაბა გარდაფუხადო და ჩემს ცელქს ამხანა- გვძმაც ფუამბო, რომ უწიგნო კაცი მართლა ბრმა ამ ქვეყანაზე!..  
ამით გათავა ზიგლამ.

სამეფო მუშრიბმა ყველა ესენი დასწერა. ზიგლა თავის შშობლებით შინ დაბრუნდა. ზზაში ყველგან სიხარულით ფფ- ბებოდნენ ზიგლას ნათესავები და ნაცნობები და ულოცავდნენ, რომ დაკარგული შეილი იპოვნეს.

#### IV

საქმის გათავების შემდეგ მსაჯულმა შეადგინა განჩინება, ბოჭულთ-უხუცესმა განიხილა, მეუემ დაასო სამეფო ბეჭედი და მისცეს ჭონის უსტაბაში. უსტაბაში გაგზავნა ნარიყალის ციხის უხუცესთან, რომ ზიგლას ოსტატი გაენთავისუფლებინათ.

ზიგლას ოსტატისა და, საზოგადოთ, ყველას სიხარულს ბოლო აღარ ჰქონდა ამის გამოისობით.

მეორე დღეს დილით ყველა იმ სოვედაგრებს სამეფო სამ- სჯაერომ რამდენიმე ოქრო ჯარიმა დაადო და რამდენიმე ხნი- თაც ნარიყალის ციხეში ჩასმა.

სოვედაგრებმა უარი განაცხადეს: ჩეენ ქართველები არა ვით და ამიტომ ქართველი მეუების კანონებით გასამართლე- ბა ჩეენი რჯულის წინააღმდეგიაო. ჩეენ ვითხოვთ, ჩეენი კანო- ნის ძალით გაგეასამჩრთლონ!

მშათ ეფონათ, რომ „პორანის“ ძალით შევეიმსუბუქდება სახულიო; მაგრამ, ის კი არა და, ერთი ორათ გაუორკეცდათ!

სანდელა.

ქავებავი.



შავილის ოცნება.



დამის ტურფა სხეული  
რად მინდა, მარჯვე მკლავია,  
თუ ნატერა, ფიქრი გრძნეული  
ბულშივე მოსაკლავია?..

ნეტავი თქეენა ფრინველნო,  
რა ბედნიერნი რამა ხართ!  
ჩემის გულისა მხიბლველნო,  
რა რიგად მე თქეენ მიყვარხართ!..

ნეტავ მეც მერცხლად მაქცია:  
შიკვით წლის ოთხს არესა  
ზაღმაფრინ-გადმომაფრინა  
უცხო და უცხო მხარესა...

მერე ტოროლად მაქცია:  
ურთა გასხა, შემატრიალა,  
ოქონ-სხივებზე ნავარდით  
მამგოსნა და მაფრიალა...

შემდეგ ბულბულად მაქცია:  
ზაეჭუინო ქება ვარდისა,  
შეების მისგან მომეცეს  
ბულით ამოცლა დარდისა...

ქელავ სირინოზად მაქცია:  
მწვანეს კუნძულზედ ზევრეითა  
მეზღვაურები მოვეჯადო  
ჰანგებით გასაშტერითა...

აწ იადონად მაქუა:  
 მაღნარში ლიკ-ლიკ-ფრენითა,  
 მოარულო ყურინი მივიპყრა,  
 დავატკბო ნარნარ-სტვენითა...

ახლა ალალად მაქუა:  
 ჩამოვეუქროლო ყველასა,  
 ვავიწყო ბგერა უკმერი,  
 იმლერდენ „ოროველასა“.

ქვალად არწივად მაქუა:  
 მთერში ვავლო წრენია,  
 დაეხედო ქვე, რაც მშენება  
 ბუნებას გაუფენია...

ბოლოს ფენიქსად მაქუა,  
 გარს მომდო ცეცხლის ალია,  
 ჩემივ ფერფლიდამ განვახლდე,  
 მით ბრძმედში ოქრო, ჩეალია...

X—X.





ଶ୍ରୀଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ.

( ୧୯୬୩ ) .

კო. და არა იყორნა, იყო ერთი ახალ-  
გაზღა კაცი, სახელი მისი როსტომელა.  
არ ყველა არც ძმა და არც და; მშობლები  
კი, კაი-ხანია, რაც დაეხოცნენ და ჩვენი  
როსტომელა დეთის ამარა დასტოვე.

„—მოღი, სოქა ერთხელ როსტომელამ: ცოლს კითხოვ და  
ოჯახს მოვეკიდები.“

მართლაც, ერთს მახლობელს სოფელში მაღლე ჯვარი გადიწერა. სახელად მის ცოლს თამრო ერქვა. მაგრამ შენ მტერს ისეთი უხეირო, როსტომელს რომ ცოლი შეხვდა. თამრო ძილისა და ჭამის მეტს არას აკეთებდა ოჯახში და ქმარს მუდამ უსაყველურებდა: ჩადგან მითხოვე, კარგად მარჩინეო.

ჩეენი როსტომელა, თუმცა თავს არ იშვიგავდა და დღე-და-ლამ საოჯახო საქმეებს აკეთებდა, მაგრამ მარტო რას გახდებოდა? მანი თან-და-თან ღარიბდებოდნ. რაც რამ მამისეული ჰქონდათ, თითქმის სულ მოინელეს.

მრითხელ, გაზაფხულზედ, როსტოკმელამ თვითონ დააჯინა მოკრუხებული დედალი ოც-და-ოთხ კვერცხზედ. ძრუხმა ოც- და-ოთხი წიწილი გამოჩეკა: თორმეტი ყვინჩილა და თორმეტი ვარიკა. ვარიკები, ჯერ კიდევ ჭარგა ფრთა შესხმულები არ იყ- ვნენ, თამრომ დაკვლევინა; ყვინჩილები კი როსტოკმელამ და- კვერცხლა და გასასყიდლად დასუქა.

— მრითხელ როსტომელა სხვაგან წავიდა და ცოლს დაუბარა:  
— თუ ვინიცობაა, ვაჭარი მოვიდეს ყვერულების საყიდლად,  
თითო მანეთ ნაკლებ არ შეელიო.

მრთ ვაჭარს შეუტყვია, რომ როსტომელას კაი მსუქანი

ყვერულები ჰყავს გასაყიდო, და, მზე ჯერ კიდევ კარგად არ  
იყო ამომართული, მის ქახს მიადგა და დაიძახა:

— ჰეი, მასპინძელო! შინა ხარ?

— ვინ ბრძანდები, ბატონო? გამოსხახა საბნიდგან თამრობ.

— მე ვარ, ვაჭარი! ყვერულების ყიდვა მინდა.

თამრო საჩქაროზედ ადგა, გამოვიდა და ვაჭარს უთხრა:

— ზახლავსთ გასაყიდი ყვერულები და კარგებიც არიან, მაგ-  
რამ თითო მანეთ ნაკლებ ვერ შეველევი: ისე მაქვს კაცისაგან  
დაბარება.

ვაჭარმა ყვერულები ნახა და თამროს ესე უთხრა:

— მარგი, რა გაეწყობა! დაიჭირე ყვერულები, მოგცემ თი-  
თო მანათს.

— ზახარებულმა თამრომ ყვერულები მაღლე დაიჭირა. ვა-  
ჭარმა თერთმეტი ყვერული ერთმანერთზედ გადააბა და ცხენზედ  
გადიკიდა; მეთორმეტეს შეუკრა ფეხები, თამროს ხელში მისცა  
და ასე უთხრა:

— აი, ეს ყვერული ვირავოდ გყავდეს, სანამ ფულები არ  
მოვიტანო! და თავის გზას გაუდგა.

სალამოზედ როსტომელა მოვიდა შინ და ცოლს ჰკითხა:

— ჩვენი ყვერულები როგორ არიან, ქალო?

— ყვერულები თითო მანეთად გავყიდე, უპასუხა ცოლმა.

როსტომელას გაეხარდა.

— აბა, მოდი ფულები დავთეალოთ, იმ წყეულმა ვაჭარმა  
სათვალავში ხომ არ მოვატულილა.

— შულები როდი მოუკია: ერთი ყვერული დატოვა გირა-  
ვოდ და, სანამ ფულებს არ მომიტანს, არ დავანებებ.

ამ სიტყვებით როსტომელას გული შემოეყარა; ბევრი იცა  
თავში ხელი, მაგრამ რას გახდებოდა; გზა არ იცოდა და კვალი  
იმ ვაჭრისა.

მეორე დღეს როსტომელა ადგა და გაიარა კარი. იარა,  
იარა და ერთ დღი მინდორიზედ გავიდა. მს მინდორიც გაიარა  
და პატარა ტყეში შევიდა. იქ ტირილის ხმა მოესმა. მიიხედ-

მოსხედა და დაინახა: ტყის ბოლოს ერთი ლამაზი სახლი დგას; ამ სახლის აივანზედ ახალგაზდა ქალი ზის და ხმიანად ტირის. ამ ქალის სირცეებიდან როსტომელამ გაიგო, რომ სალომე—  
ეს იყო იმ ქალის სახელი—ახალი დაქრიფებული ყოფილა და მასთან ფულებისა და ქანების პატრიონიც.

შაათავა ქალმა ტირილი თუ არა, როსტომელა ტყიდგან გამოვიდა, მივიღა სალომესთან და ასე უთხრა:

— მე საიქიოდგან გამოგზავნილი ვარ. ივანემ ეს იყო იმისი ქმრის სახელი—დამაბარა: ჩემ სალომეს უთხარი, რომ აქედგან თავს ვიხსნი, ოღონდ ფულები მჭირდება და, რამდენიც მოახერხო, გამომიგზავნეო. შე ეხლა გამატანთ, თორემ შემდეგში აღარ დასახსნევინებრ თავსა.

სალომეს ეს აშშავი ძალიან გაუხსარდა. ზაალო ზანდუკი და, რაც რამ ძეირისას ნივთები ჰქონდა, ფულებთან ერთად როსტომელას თან გაატანა.

როსტომელამ საჩქაროდ შინისაკენ მოჰკურულა და გზაში მაღ-მაღ უქან იხედებოდა, ხომ არაენ დამედევნა?

ამ დროს სალომესთან მისი მაზრი მოვიდა. რა ნახა მისი მგლოვარე რძალი მხიალულად არის, ძალიან იამა და უთხრა:

— ძლიერ მოხარული ვარ, ჩემო რძალო, რომ მწუხარებას თავი დაანებე. მწუხარებით ტყეილა თავს იწუხებდი და ვერც არას იმ ჩემ ცხონებულ ძმას უშევლიდ!

— თქეენ ძმა მაღვე მოვა! სიხარულით შეცყვირა სალომემ.

— როგორ თუ მაღვე მოვა? ჰკიოთხა მაზრმა. განა საიქიოდგან ეინშე მოვიდა ან მოსულა, რომ ის მოვიდეს?

— თქეენ ნუ მოშიკედებით, ნაძლევილად მოვა, კიდევ განუმეორა რძალმა: აი, ეს არის, იმის გამოგზავნილი კაცი მოვიდა, ფულები შემოვთვალა, თავის დასახსნელად მჭირდებაო, და რაც მომექებოდა, სულ გაფუგზავნე!

მაზრმა მეტი ლაპარაკი აღარ დაუწყო, რადგან იცოდა, მისი დარწმუნება არ შეიძლებოდა და მხოლოდ ეს ჰკიოთხა:



— საით წავიდა ის კაცი, რომ მეტ გავყენ იმას ჩემი ძმასთან? — აი, ამ შარას დაადგა!

მაზლი შეჯდა, რომელიც საუკეთესო ცხენი ჰყავდა, და მოტყუარას უკან გამოუდგა. როდესაც დიდ მინდობრზე გავიდა, როსტომელა შეუ მინდობრზედ მიჩანჩალობდა. მრთი კიდევ რომ მოიხედა უკან, ხომ არაენ მომდევსო, და დაინახა ტყდგან ვიღაც გამოვიდა, იფიქრა: ეს სწორედ ჩემი მდევარი იქნებაო; მიიხედ-მოიხედა და დაინახა: იქვე ახლოს ერთი ქალი კაცი ყანასა ხნავს. მივიდა და უთხრა:

— მაცო! აი, იქ რომ ვიღაც ცხენს მოაკენებს, ის ხელ-შწიფის გამოგზავნილი კაცია და, სადაც ქაჩალს ნახავს, ყველას თავს სჭრის და ხელმწიფესთან მიაქვს.

მაჩალს შეეშინდა. როსტომელამ უთხრა:

— თუ დამიმადლებ, მე გიშველი: აი, იმ ხეზედ შედი და შენ მაგივრად მე ეწნავ. ის კაცი მოავა და მე მკითხავს, ქაჩალი ხომ არ გინახავსო. მე ვეტყვია: არ მინახავს-მეტქი და უკან გაბრუნდება და შენ მშვიდობით გადარჩები.

— აბა, მიჰმადლე შენ ღმერთს და მიშველე! შებლაველა ქაჩალმა.

მომდევარი სალომეს მაზლი მოვიდა და როსტომელას კითხავს:

— აქ რომ კაცი მოდიოდა, რა იქნაო?

როსტომელამ უთხრა:

— აი, იმ ხეზე შევიდა!

მივიდა ხის ძირში და დაუწყო ქაჩალს ყვირილი:

— ჰაი, შე მატყუარა, ჰაი, შე მაკლურო! ჩამოდი ეხლავე და ჩემი ფულები დამიბრუნვ, თორემ...

— ნუ მომკლავ, შენი კირიმე! მაჩალი ცოტა მეტყობა, ძალიან ცოტა!...

როსტომელა გასძახის:

— ბატონო, ეს ისეთი მოხუცებული კაცია, რომ თუ თქვენ

არ შემჩანდით ხეზედ, არ ჩამოვა! მს ცხენი მიძოძეთ, დავი-  
კო.

ისიც დათანხმდა და ცხენი როსტომელას მისცა. როდესაც  
ხეზედ ავიდა, როსტომელა ცხენს მოახტა და შესძახა:

— მაგ კაცს რას ერჩი? შენი რძალი მე მოვატყუე!.. და თა-  
ნაც ცხენი გააჭინა.

სალომეს მაზლმა გაშტერებით პირი დააღო და ისე უძ-  
რავად იდგა, მხოლოდ თვალს ადევნებდა, როგორ მიაჭინებდა  
როსტომელა იმის ცხენს. დალონებული ჩამოვიდა ძირს და ში-  
ნისკენ გასწია. შინ რომ მიიღიდა, რძალმა ჰკითხა:

— რი ჰქენი, გენაცვალე?

მე ვეღარ გავბედე წასელა და ცხენიკი გაეატანე, რომ მა-  
ლე მიეშველოს ჩემ ძმასა! მიუგო მაზლმა.

ეძასა, მეღასა, ბროდნი გგგიდინ უეჯა ა.

ამა ზდაპრისა მომსმენდებს ბედნივრება უკედასა.

o. მ—ელი.

## ୪୧୫୦ ତଥା ୫୩୬୯ ପ.

(ମହାକର୍ଣ୍ଣଙ୍କ)।



ଏବେଳେ ଜୀବନ-  
ନିଃ ବୀରଚ୍ଛ ପା-  
ପୁରୀର ସିମିନନ୍ଦି  
କ୍ଷେତ୍ରରେ ଲାଗେ  
ବୀଳିରେ ବୀଳିରେ  
ମ୍ବାତା-  
ତ୍ୟରେ ଗାନ୍ଧୁଳି  
ନ୍ୟୂନ; ସିମିନନ୍ଦି

ରାତ୍ରାରୋଗ୍ବ୍ୟାଧିଲ୍ଲିପୁଣ୍ୟ; ଶାମ୍ଭୁରାଦ ଗାତ୍ରକ୍ଷେତ୍ରରେ ମାତ୍ର ଲାଲାନି ରା ଶ୍ରୀଜାଲି.  
ପାପୁରୀର ଠିକ୍ ଗାମୋହିନ୍ଦିରେ ସିମିନନ୍ଦି ତାବୀତ, ରାମ ଅଧାମିନାନି  
ଶାତିତାନ୍ତର ରାତ୍ରାଗ୍ରେହଣ ପାପୁରୀରେ ସିମିନନ୍ଦିରେ ଲ୍ରକ୍ଷ, ରାମେଲିପ୍ର ଗା-  
ଲାଲାଗ୍ର୍ଯୁଲ୍ଲିପୁଣ୍ୟ,  
ତାଙ୍କ ମରଳା ଏଗଲ, ଉତ୍ସାଦ ତାରା ରାଜେଶ୍ବର ରା  
ରାଜିନୀରେ କୁରିଖରେ ପ୍ରେଲକ ନାହିଁ ଅନ୍ତର୍ଦ୍ଦୟନ୍ତର୍ବିଦ୍ଧିରେ  
ନାହିଁ ପାପୁରୀର ସିମିନନ୍ଦି ମାର୍ଗବିନ୍ଦି ହିସ୍କେପିଲ୍ଲାର ରୁକ୍ଷ ହାମରୁଦ୍ଧିରେ;  
ରୁକ୍ଷ ଗାଲମିତ ଗ୍ରନ୍ଥର; ମର୍ଦବାର୍ଯ୍ୟାମତ ମାର୍ଗବିନ୍ଦି, ମର୍ଦିନାରୀର ମାର୍ଗବିନ୍ଦି  
ଦିଲାଦ, ଇତ୍ୟା ଉତ୍ସାର-ମାତ୍ରାରୀ କାଜିଲୀର ବେ, ରାମମିଳିର କରିଦିଲୀ ରାତ୍ରି  
ରାତ୍ରି କ୍ଷେତ୍ରବ୍ୟାଧି ସିମିନନ୍ଦି. ବେ ମର୍ଦିନାରୀର ଗାଦାଶକ୍ରିଯାମତ; ଯେତେ ମି-  
ତି ପ୍ରାଣି ଶ୍ରୀକୃତିର ଶ୍ଵେତତ୍ୱରେ ଗାଲାମିନ୍ଦିବ୍ୟାଧି, କାରି ବେଳୀରେ ରା  
ତ୍ୟକ୍ଷ ରାତ୍ରି ରାତ୍ରି ପାପୁରୀର ମାର୍ଗବିନ୍ଦି ହିସ୍କେପିଲ୍ଲାର; ନାହିଁ ପାପୁରୀର  
ମାର୍ଗବିନ୍ଦି ମାର୍ଗବିନ୍ଦି ନାହିଁ ଶାକ୍ରିର ସାକ୍ଷେ ହାମରାଦିଗ୍ରନ୍ଦି. ଶ୍ରୀକୃତି,

თავის პატარა, მაგრამ გიუ-მაჟ წყალს უშხაპუნებდა იმ კედელს, რომლის გვერდით ამაჩოულიყო კაკალი; კაკლის ძირში ტრიალებდა წყალი, გაეკეთებინა მორეები, რომელიც სოფლის ბავშვებს საბანაოდ ამოერჩიათ.

— ნათლი, შაყიტა! ვერ გაათავე ე სიმინდის რწყვაი? გადმოსხა კენახიდამ მეზობელმა.

შაყიტამ შუბლზე სელი მიიჩილა და გვერდზე გადმოხედა:

— აი, საკა ბოლოში გაეა! უთხრა შაყიტამ.

— ბუშინ ჩაუგდე და აქნიბამდინ რა დაგვმართა, ნათლი? ძნელი საჩრწყავი თუა?

— რა სათქმელია! დაეყუდა შაყიტა ბარზე და უთხრა მეზობელს: ძნელი არ არის ნათლია-შეიღლობამ, მაგრამ ჯანი აღარ მომდევს: სიბერე ძნელი ყოფილა. შენობნობისას ემოტელა მიწა ერთს წამს პირიქრათაც არ გამიხდებოდა, მაგრამ რა გაეწყობა? სთქა ბერიკაცმა თავის ქნევით.

— ძარგა დაგიბუქებულებია! მაც, შენი მაღლის კი ჭირიმე! არ ალელყებულა ე დალოცული, ესა! ლეთის თვალი ტრიალებს, ნათლი, ლეთისა, ამ შენს სიმინდში...

შაყიტას სიამოვნების ერთანტელმა გაუჩინდინა და სიხარულით გული აუტოკდა; მიუნაკადლა წყალი, აიმართა და ალექსით გადახედა მოლალანე სიმინდა.

— აქ კიდევ რა არის, სთქა გულ-გაკეთებულმა შაყიტამ: აბა, აი, კაკლისაკენ წაირე; ნაკორდალია, წრეულს გადავბარე. ასეთი სიმინდია, რო ცხენიან კაცს გაუძნელდება გაელა; სულ მაჯის სისხო ტარო აყრია.

— იცი, ნათლი? მე მიუნაკადლებ ბოლოში... პლარა ჰკლებიარა, და მერე მე ჩაუგდებ ჩემს სიმინდში. მრთი კიირაა თან დაესდევ მერუებსა.

— წაიყვანე, შეიღლო, მე რა დამშლელი ვარ; წყალი ქვეფისაა.

შაყიტას ნათლობის სახელი სხეა იყო, მაგრამ სოფელს

ერთხელვე ეს სახელი დაერქმია. მისი ნათლობის სახელი აღარც კი ვინშე იცოდა; სულ „შაყიტას“ ეძახდნენ და თვითონაც კი არ იცოდნენ, თუ რად ეძახდნენ. შაყიტა მოხუცი იყო, ესე სამოცუცი წლისა. სახლში ჰყავდა ოთხი გომბითა, როგორც თვითონ ეძახდა ხოლმე; ოთხივ ერთი ერთმანერთზე, მომდევნობითი თოთქმის ოთხივ მზა, გასათხოვრად მოწიფული ქალები.

შაყიტა იყო შუათანა ტანისა, წელში ერთობ მოსხრუული, თითქო რკალით. სახე ჰქონდა შშეენიერი; პირი მუდამ სუფთად გაპარსული, რომელზედაც გადავუენოდა თეთრი და განიერი ულევაშები. თბა მუდამ სუფთად ჰქონდა გადავარცხნილი. მს თეთრი და გრძელი თბა ჩაფენილი ჰქონდა კისერში და ზედ შევი ჩითის თავშალიც ერტყა. შუა ალაგას სიმინდში, მალლა საჩჩე, თავის ძეელი შევი ქუდი ჩამოეცვა და ზედ ფარა-ფარად ნაქცევი ლურჯი ლეინის პერანგი ჩამოეციდა. ვენახის პირისპირ ედგა ოჩირფეხებზე შემდგარი ქოხი, რომელიც სიმინდს ზედ დაჟურებდა.

შაყიტამ რწყევა გაათავა; ჩაჯდა რეს პირას; თაერთი თავ-შალი წაისხნა, პირი რუში ჩაიბანა და სველი სავარცხლით ქოჩირი გაღიერარცხნა. შემდევ ავიდა ქოხში, რომელსაც ცალ-უცხა კიბე ჰქონდა მიღდგმული. ზის შაყიტა ქოხში. ჭამზე ცივი წყაროს წყალი დაუსხამს, რომელიც იქვე კაკლის მახლობლად გამოაჩხიალებდა, ჩაუგდია მიგ სიცხისაგან გამომხმრი პური, ალბობს და სკამს. ილოლნება მოხუცი შაყიტა, რომელიც ცალი იდაყვით დაყრდნობილია მოუკეთილ ფეხზე და მეორე ხელი ჯაშში უყვია და პურს ამტკრევს.

— აბა, ვინ უფრო უწინ გაიხდის, ვინა! მიჩბოდნენ ბავ-შეები მორევისკენ, ეკამათებოდნენ ერთმანერთს და თან ქამრებს ისხნიდნენ.

ხმაურობაზე შაყიტამ ქოხიდამ თავი წამოიგდელა და ცალი ხელი ჯაშში დარჩა პურის ამოსაღებად. ბავ-შეები შეცვავ-დნენ კაკლს ქვეშ; იძრეს საჩქაროდ და ფოტოროდამ მორევში გადაზენენ. ასტყდა კიფინა; გამხიარულდა ჭალა და ვენახები.



მწყვესებმაც შუადღის ხარი მორევთან მორევეს საგრილებელად  
— მფრემა! აბა, მოდი და ე კაკლის ტოტზე გაეიდეთ და  
ისე ჩავიყურებუმელავოთ მორევში! უთხრა მიხამ.

— ბავიდეთ... მრიპა! მომიცა, კაცო, და! მრთად გადა-  
ვხრეთ.

აცოცდენ კაკალზე და გაეიდენ იმ ტოტზე, რომელიც ზედ  
მორევზედ იყო გადაშევრილი. მიხამ კაკლიდამ გადახედა სი-  
მინდს და აღექრა მსუნავობა. სიმინდის ტაროებმა ის სრულე-  
ბით წარიტაცეს; დავიწყდა, რომ კაკალზე ზის და საბანაოთ  
ემზადება.

— ბასწი, ბიჭო, რას გაშტრერდი? და მფრემამ კისერში  
ხელი წაჟარა.

— ბიჭო, მფრე, რა ტარო აყრია, და! ვნეც არ დამ-  
ტვრიოს, მლიის მადლი გაუწყრეს.

— წადი, შეილოსა, იმდღევანდელი არ იყოს. დამამტვ-  
რევნე ტაროები და კინალამ დედა ჩემმა დამალრჩო: ნაქურდა-  
ლი სიმინდი რად მაჭამევიო.

— შენ რომ დო-ულაპია იყო, ვისი რა ბრალია, რა! მაგ-  
პირში ენა არა გქონდა: ეტყოლი, რომ ჩენ ვენახში დავა-  
ტვრიეთქო... იცი? რო ვიბანაოთ, მოვიცადოთ: ხალხი მილაგ-  
მოლაგდება და მაშინ შევიპარნეთ.

მფრემას სულმა წასძლია, თუმცა კი რამდენსამე წამს შე-  
უყომდა. მიხას თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ციყენბიერ  
გაირბინეს ტოტზე და გადახედეს მორევს.

— აბა, ბიჭებო, გეიყურეთ: რომელი უფრო დიდ ხანს იქ-  
მნება დაუყურებული... მფრე! მოდი, რაღა, ერთად გა-  
დავეშვათ! დაუქახა მიხამ.

მრთხელ, ერთ მხიარულ სალამიზედ, შეერთებული შტატების დასავლეთის მხრივ, ერთი დიდი ქალაქის მახლობლად, ფერმაში ჩამოეშვა ერთი უზარ - მაზარი ჰაეროსტატი. ცოტა ხნის განმავლობაში ამ აღილს მოგროვდა მრავალი ხალხი; იმათში უფრო მომეტებული მუშები, ქალები და ყმაწვილები იყენენ. ჟევლა ესენი გაკვირვებით ეკითხებოდნენ ამ ჰაეროსტატის პატრონს, თუ სადაურია, საიდგან ჩამოეშვა და ან როგორ შეიძლო იმითი ჰაერში ტარება. ჰაეროსტატის პატრონიც თითქმის ყველას პასუხს აძლევდა და თან კი ხელს არ აშორებდა მატარებელსა, რომელიც გაუწევდილი მაღლა-მაღლა მოჰქონდდა და ბოლოს კიდეც ავიდა ჰაერში ერთი ადლის სიმაღლეზე. მატარებელში ჰაერგვარი (გაზი) ცოტადა დარჩენილიყო.

სამხა ახალგაზდა ყმაწვილმა დაუწყო ფერმის პატრონს ხევწნა, რომ შიგ ჩასხდომის ნება მიეცა. ფერმის პატრონმა პირველად ყური არ უგდო, მაგრამ ყმაწვილებმა რომ ხევწ

ნით შეაწყების, ადგა და იმანაც ჰაეროსტატის პატრონს სოხმ-  
ვა, რომ მატარებელი რაზედე მოება და ყმაწვილები ისე ჩა-  
სხათ. ყმაწვილები ჩასხდნენ თუ არა, მატარებელი მაშინათვე  
მიწაზედ დაეშვა, რადგან სიმძიმე მომეტებული მოვიდა; საუ-  
ბედუროდ, უფროსი მათგანი გადმოხტა და მატარებელი მაში-  
ნათვე ისეთი სისწრაფით მოიგლიჯა და ჰაერში ავიდა, რომ იქ  
მყოფთ თვალი ძლიერ მოჰკრეს. შიგ მყოფი ყმაწვილები ფერ-  
მის პატრონის ქალ-ვაჟი იყვნენ. მაღალი ნელლი ერქვა და ვაჭს  
ჯონი. ნელლი უფროსი იყო ჯონზე. ხალხმა ერთი ალიაქო-  
თი, საშინელი ყვირილი და ვაი ვაგლახი ასტეხა. ჰაერიდგან  
ყმაწვილების ხმა ცოტათი მოისმოდა. ამის დამნახავ დედას  
მაშინვე გული შეუწუხდა და უგრძნობლად მიწაზედ დაეცა;  
მამა კი გიფიერით გორავდა მიწაზედ და სიმწარით თავ-პირს  
იხოკდა. ჰაეროსტატის პატრონი ცდილობდა დაეშვიდებინა  
და იმედს აძლევდა, რომ მატარებელი აქვე ახლოს ჩამოეშვება  
და ყმაწვილებსაც არაუკი ენებათო. ხალხს-ლა ეუბნებოდა:  
ერთი მათგანი კი გადარჩება, რომელიც პირველად გადმოეაო,  
მეორე კი საეჭვოა, რადგან მატარებელი უფრო დამსუბუქდება  
და უფრო ადვილათ აეა ჰაერშიო.

ამ სიტყვებზედ დედა ცოტა გონს მოვიდა და ტირილითა  
სოქეა: „არას ღროს ნელლი თავის მას არ მოშორდება!“

მატარებელი წყნარად დაუკრავდა ჰაერში და თან-და-თან  
ერთ ქალაქს უახლოედებოდა. მაღლიდამ ყმაწვილებმა დაინახეს  
ხალხი და დაიწყეს ხელების ფართხალი და ყვირილი: „გვიშ-  
ველეთ, გვიშველეთ!“

ყმაწვილები ხალხის თვალში ფრინველის ტოლათა ჩან-  
დნენ და ვერც იმათი ძახილი ესმოდათ. ბოლოს ბინდი მოახ-  
ლოვდა და დაღამდა კიდეც. ბოლოდა კაშკაშა მთვარე და გა-  
ნათა მთელი ქვეყანა. უველგან სიჩუმე იყო. ჯონის სიცივემ  
კანკალი დაწყებინა; დამ თავის კაბის კალთა გადაახურა და  
მუხლებზედ დაიწვინა.

— ჯონი! მეტი არაფერი გაქს ამაღამ დასახური, უფხრა

ნელლიმ: ეილოცოთ და შერე შენ დაიძინე და მე ვიფხიზლებ.

— მე რათ უნდა ეილოცო, რომ ვახშამი არ მიჟამია, წა-  
მოიძახა გულ-ამომჯდარმა ჯონიმ.

— ამაღამ ჩვენ ვახშამი არ გვექნება, ჯონი, მიუყო ნელ-  
ლიმ: ლოცვა კი მაინც აუცილებელია.

ბაეშეებმა გულ-ხელი დაიკრიფეს და ბუტბუტით სალამოს  
ლოცვის თქმას მოჰყენენ.

— ახლა კი გაგვიგონებს უფალი ლოცვას, სოქეა სიხარულით  
ჯონიმ. ჰერდა?.. როგორ მიეუახლოვდით ცასა: შეგ ღრუბ-  
ლებში ვარო!

შემდეგ დადეა თავი დის მუხლებზედ და მიეცა ტკბილ  
ძილსა. საბრალო ნელლის კი მოელ ღამეს თეალი არ მოუხუ-  
ჭია, თუმცა შეუაღმისას წყნარი ქარი მატარებელს აკანსავით  
არწევდა; მოელ ღამეს საშინელს ფიქრებში იყო გაბმული. ვინ  
იცის რისა ეშინოდა, ან რასა ფიქრობდა? შსათუოდ ამასა  
ჰერქობდა, რომ ჩვენ აქ უნდა დაეიხოცოთ და მშობლების  
ნახეას ვეღარ უნდა ველირსოთო და ან ევონა, რომ ვარსკე-  
ლავები ძლიერ ახლოს არიან და ეს-ეს არის ჩვენი მატარებე-  
ლი ერთ-ერთ ვარსკელას დაეჯახება და გადაეიმუგებითო.

მაგრამ ღმერთმა არ გაიმეტა ისინი დასალუპად. მატარე-  
ბელი შორს არსად წაეიდა: არც ზღვისაკენ, არც რომელიმე  
მდინარისაკენ და არც მიუვალ ადგილებისაკენ: ის დაწვა ერთ  
მშენიერ ფერმაში. მეორე დღეს, ჯერ მზე არ იყო ამოსული  
და აღმოსაელეთით ცის კიდე წითლად ელვარებდა, როდესაც  
ნელლიმ გამოიხდა და დაინახა, რომ ისინი დედა-მიწას უახ-  
ლოვდებოდნენ. ცოტა ხანს უკან მატარებელმა უუცრად დაიხ-  
მაურა, ბაღისკენ ჩაექანა და ერთი მსხლის ხეზედ გაჩერდა. ნელ-  
ლიმ ცოტა მოშორებით ერთი მშენიერი ქვითკრის სახლი  
დაინახა; იმის უკან გრძლად წერილი სახლები მოჩანდნენ და  
იმათ წინ კიდევ მშენიერი ბაღი.

„—ოჟ, მადლობა ღმერთს: აქ უსათუოდ ადამიანები იქნებიან!“  
იფიქრა ნელლიმ და სიხარულით თავისი ძმა გააღვიძა. მეტი

მს ბალი და შენობები გახლდათ ბერტონისა. იმას დილის ძილი უყვარდა ხოლმე, მაგრამ ამ დღეს ადრე ამდგარიყო და ბანზედ სახეირნოდ გამოსულიყო: უნდოდა იმ დილითვე თავისი ფერმა დაეთვალიერებინა. იმის ახალგაზდა ცოლს ერთი უკურად თავის ქმრის გაბმული ყეირილი შემოესმა. თავ-ზარ დაუმული საჩქაროდ კარზედ გამოვარდა. მურმე, ნუ იტკიოთ, ჰაეროსტატი ბერტონს უზარ-მაზარი მსხალი ეფუნა და ამიტომ საშინელის ხმით გაკვირვებული გაჰკიოდა.

— ჩაგვიყანეთ აქედან, ჩაგვიყანეთ, თუ ღმერთი გწამთ: გვცივა, ვკარგებო! მოისმა ზევიდგან სუსტი და წმინდა ხმა ნელლისა.

— შიმშილითა ვკვდებით, სიცივეშ დაგძრა, გვაჭამეთ!.. მოისმა ზევიდგან ნამძინარევი ჯონის ხმა.

— ვინა ხართ თქენა და ან საიდგან ჩამოხვედით? ეკითხებოდნენ გაკვირვებულნი ბერტონი და იმისი ცოლი.

შმაწევილებმა ყველაფერი უაშშეს, რაც თავს გადახდათ. შემდეგ ბერტონმა მოიშეება მუშები, მოაჭრევია ხის ტოტები, რომლებზედაც მატარებელი იდგა, და ჩამოუშევს მიწაზედ. პირველად გადმოიყანეს ჯონი, რომელიც სიხარულით სულ ხტოდა, რადგან უძილობას არ შეეწუხებინა და სიკედილსაც გადაჩა; მერე გადმოიყანეს დასუსტებული ნელლი და შეიყვანეს სახლში: სიციეით სულ კანკალებდა და თან სიხარულითა ტიროდა. მშობლებს საჩქაროდ მახარობლად კაცები გაუგზავნეს. შუადლისას, ბერტონის ფერმას რამდენიმე კაცი მუზიკებითა და სხეა-და-სხეა საკრავებით მოადგნენ. შმაწევილები სიხარულით შშობლებთან წიიყვანეს. მთელ ქალაქს უკვირდათ და იძახდნენ: „უშაწევილები ღრუბელში არ დაიხოცენო!“

გარგარები

ისტორიული პოპორი.

I

ქმინდა-მოწამენი და განცხადება.



ვეპანაზე იშეითია  
იმისთანა ხალხი,  
რომელსაც გამო-  
ევლოს იმოდენი  
უბედურება და მწუ-  
ხარება, რამდენიც  
უნახავს ქართველ  
ხალხს. მას გარშე-  
მო ბევრი არა ქრი-  
სტიანი ხალხი ეხება  
და ისინი მუდამ მის  
დარბევას, დაჩავერას და დამონებას მეცადინეობდნენ. მაგრამ  
სიმხნე, მამაკობა და სიყვარული სამშობლო ქვეყნისა ქართვე-  
ლობას აძლევდა იმოდენა მამაკობას, რომ ამარცხებდა მტერს  
და იცავდა საჩქაროებას, სამშობლო ქვეყნის თავისუფლებას  
და ეროვნებას.

686 წელს ქართველ ხალხს ემუქრებოდენ არაბები, მაგ-  
რამ ქართველთა შორის აღმოჩნდენ იმისთანა პირნი, რომელ

თაც დაიცეს სამშობლო ქვეყანა; არ მოუხარეს მტერს კისერი, არ დაემორჩილნენ მას და არ გაუხდნენ მონად.

ასეთი მამულის შეიღნი მრავალნი იყენენ, მაგრამ ყველაზე სახელოვანნი და გამოჩენილნი იყენენ ორი ახალ-გაზდა ძმა, დავიდ და პოსტანტინე. მსენი სტოკორებდნენ იმერეთში და იყენენ აზევეთის გამგებელად. ამათ დროს ზემო-მერეთს დაეცა მურვან-ურუ. მაგრამ ძეირად დაუჯდა მას მამაცი ერის შეწუხება. დავითმა და პოსტანტინემ დაუმტკიცეს მას, რა ძალა აქვს სარწმუნოებას და ერის თავისუფლების დაცის გულითადს სურეილს: არ შეუშინდენ მურვან-ურუს. როცა შეიტყვეს, რომ ის ძალიან გაჯავრებული მოდის მათის სამშობლო ქვეყნის ასაკლებათაო, მუსიკე შეპარეს თავიანთი სამთავრო ჯარები, გულადად მიეგებნენ და გასწურეს მტრის რჩეული მოწინავე ჯარი.

ეს რომ მურვან-ურუმ შეიტყო, ძალიან გაუკეირდა, დაიცო პირში თითი და სოქეა: „ვინაა ასეთი გაյაღნიერებული, რომ ეწინააღმდეგება ლოთის უდიდეს მოციქულს მაჰმედისა?“ — სოქეა ესა და ისე გაჯავრდა, რომ ცუჭლი მოჰკიდა: გან-რისძა, გაშფოთდა, აიცხო მისი ბოროტი სული და გული ბრაზითა, შესახა ჯარსა და მთლად მიუსია არგვეთელებს. დაეთი და პოსტანტინე მხნედ დახვდნენ მტერს, მაგრამ მას-მა უმრავლესობაში მაინც დაამარცხა ისინი, და სახელოვანნი მამულის შეიღნი ტყვედ წაიყვანეს. მურვან-ურუს ძალიან გაუხარდა მათი დაკვრა. როცა შასთან ორივე ძმები მიიცვანეს, მოეწონა მათი ტანადობა, მშენიერება, მხნეობა და ვაჟეცობა: ორიენი ჯერ კაბუქი იყვნენ და ჰქონდათ ქერა სახე. მურვან-ურუს არ ემეტებოდა ისინი დასახოცავად და ჰსურდა თავის მხარეზე და სარწმუნოებაზე გადაბირება. ამისათვის უთხრა დავითს:

— ჩემი ჯარის უფროსებისაგან შევიტყე, რომ შენ ხარ გულოვანი მხედარი და ჯარების კარგი წინამძლოლი. მენანება ე მაგისთანა მხნე ვაჟ-კაცის მოკვლა: მოდით მიიღეთ მაჰმალის

რჯული შენტა და შენმა ძმამაც, და მაშინ მე თქვენ არას  
გავნებთ.

ძმებმა ორთავემ უარი უთხრეს:

— არ შეგვიძლიან მამა-პაპის ქრისტიანულ რჯულს ვუ-  
ღალატოთ; მზათა ვართ მისთვის ორივემ ყოველივე სიმწარე  
ტანჯვისა გამოვიაროთ, და არ მივსცეთ ხალხს მაგალითი სარ-  
წმუნოების ღალატობისა!

მურვან-შრუს ეწყინა უარის-ყოფა; გასტა ბრძანება მწარედ  
დაეტანჯად ისინი საპტობილე ში.

მრთს კიორას არც წყალს ასმევდენ, არც პურს აჭმევდენ.  
მერმე გამოიყენეს და მისგვარეს ისევ მტარვალს. იმან ჰე-  
ოხა:

— მოკუკურანდით, თუ არა? მიიღებთ მაჟმალის რჯულს, თუ  
კიდევ უარს იტყვით?

დაეითმა და ძოსტანტინემ უპასუხეს: ქრისტეს რჯულს რო-  
მელიც ჩვენ მიგვიღია დედ-მამისაგან, ვერ ვუღალატებთ, რაგვა-  
რიც გინდა ტანჯვა მოგვაყენოთ!

მაშინ მტარვალი უფრო გაცოფდა და გასტა ბრძანება,  
ჯერ მწარეთ დაეტანჯათ ისინი და მერმე დაეხილათ. შეუბრა-  
ლებელმა მტანჯველებმა გააძრეს იმათ ტანისამოსი, თავდალმა  
დაჰკიდეს ფეხებით ხეზე, და ისე სცემეს ჯოხებით, რომ ტანი  
სრულიად დაულურჯვეს; მერმე ხილან ჩამოსხნეს, ორივეს კელ-  
ზე დიდროვეანი ქვები მოაპეს და მდინარე რიონში გადაჰყარეს,  
იმ ადგილას, სატა ეხლა ქალაქს მუთაისს „წითელი“ ხიდია გა-  
კეთებული.

ასე უპატიოდ და დიდის ტანჯვით დაიხოცნენ მურვან-  
შრუსაგან დაეით და ძოსტანტინე; მაგრამ ღმერთმა აღიდა მა-  
თი სახელი. მშ ღამეს მათს წმინდა გვამებს, შიგ წყალშივე,  
დაადგა ნათელი ორის დიდი სვეტის სახით. რა ნახეს ეს ნათე-  
ლი, მიეიღენ ღამით და პატიოსანი გვამები მდინარიდგან წა-

სევნეს და დაასაფლავეს იქ, საცა ეხლა მათ სახელობაზე აშე-  
ნებულია მო წამეთის მონასტერი \*).

მაგრამ ქართველმა ხალხმა არ ინგბა ისინი მიწას ქვეშ  
ყოფილიყვნენ მოფარებულნი. საქართველოს ეკკლესიას, თუმცა  
არა ჰქონდა ჩეულებად საფლავებიდან წმინდათა და მოწამე-  
თა გვამების ამოღება და ეკკლესიებში და მონასტრებში ზეზე და-  
სვენება, შავრამ ქართველებმა დაარღვეს თავის ჩეულება: დი-  
დის პატივით იხსენიებდა იმათ და მოწიწებით ეველრებოდენ  
ზეციერს მამას მათის საფლავის წინაშე. 1027-სა და 1072 წლებს  
შეუარსებელი სახელოვანმა მეფემ ბაგრატ მე-IV-მ ააშე-  
ნა მათს საფლავზედ მონასტერი, ამოილო მიწიდგან მათი წმინ-  
და გვამები, გაუყოთა ორივეს ერთი კუბო და დაასვენა ზეზე  
შიგ მონასტრებში. ისინი ახლაც აქ ასევნიან. ბრავე დროს ეკლე-  
სიამ შერაცხა ისინი წმინდა მოწამედ. მათს სხენებას ქართველი  
ხალხი დღესასწაულობს 2 ოქტომბერს, და ეველრება მათ, იყვნენ  
მფარელი მრისტეს მოყვარე ქართველ ხალხისა.



\*) ქუთაისიდამ ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ 4—5 ვერსის მანძილზე  
მდ. წყალ-წითელ და ნაპირზე.

## II

მეფი გარემო გ გორგასლანი.

ვახტანგ ზორგასლანის მამა იყო შეუე მირდატი. დედას ერქეა სახელად საგდუხტი. მს იყო სპარსეთის ღიდებული თავადის ქალი.

ვახტანგი შეიღო წლისა იყო, როცა მამა მოუკვდა. სამეფოს გამგებელად გახდა დედა იმისი საგდუხტი. მს სამეფოს კარგად უელიდა და შეიღო, ვახტანგსაც, რიგიანად ზრდიდა. იარალის ხმარებას, ცხენშე ჯდომას, სამეფო წესს და გამგეობას იმას აწაელიდნენ სახნლოვანნი მეომარნი, თავადი საურმავი და ჭუანშერი; წიგნს კი ეპისკოპოსი მიქელ აწაელიდა.

საქართველო არ იყო ამ დროს მშეიღობიან ტხოვრებაში. მსები დაეცნენ მართლს, აიკლეს სოფლები და მრავალი ქართველი ტყვედ წაასხეს მავასის მთებში. ტყვედ წაიყვანეს აგრეთვე ვახტანგის და, მირანდუხტი. ვახტანგი ამ დროს ათი წლისა იყო. პრავე ხანს ბერძნებმა დაიკირეს სამეცნიელო, პოხაზეთი და სამცხე-ქლარჯეთი. სპარსელებიც არ ასვენებდნენ ამ ხანებში საქართველოს.

მართველების მტრების ასე გათამამება ახალ-გაზდა ვახტანგს ძალიან სწყინდა და ემზადებოდა მედგრად დაპერვეროდა იმათ, როცა მეუედ გახდებოდა. 15 წლისა იყო, მეუედ რომ გახდა და მაშინევ გამოუტადა თავადობას და ხალხს, რომ იმას ჰაურს მტრების ჯავრი ამოიყაროს. დედასა და დას, ხეარმზეს, ჩაბარა სამეფოს გამგეობა, თვითონ შეჰყარა ჯარები, წაუძლვა წინ, მიეიღო დარიალის ხეობაში, დაპერვერო თარხან-ხაზარელი და ოსი ბაყათარ, ცალკ-ცალკე, ხელ-და-ხელ ბრძოლაში; დაამარცხა მათი ჯარები, შევიღა მსეთში, დაარბივა ისა, მოსძებნა თავისი ტყვედ წაყვანილი და, მირანდუხტი, გამოიხსნა ქართველთ ტყვეები, გამოართვა ოსებს თავდებნი, და ღიდის ღიდებით და სამო-

ერთ შემობრუნდა საქართველოს. ნარას სოფელს, ნუზლა საყდარზედ, თარხან-ხაზარელისა და ოს ბაყათარის მოკელის ამბავი შემდეგის ლექსით არის დაწერილი:

„გავეძასონ დავიშვარ, თასს სამეფოს ქადაღი გვარი;  
ქართველს ბატონს და მოვაცარე, არ დავაგდე ჩემი გვარი;  
მთმწვდა, ფიცით მიღალატა, მინ დაიდვა ჩემი ბრძანი,—  
ბაჟათარ წეათა მაცა, აღისონა რათა ჯარი.  
გინც ეს დაქანი ისიდორო, მცირედ ბრძანეთ შენდობანი“.

გამარჯვებული მეფე მცირეთაში დიდის ამბით მიიღეს: ფეხ-  
ქეშ ფიანდაზა გაუშალეს, თავზე ოქრო და ვერცხლი დააყ-  
რეს და დიდი ქება უთხრეს.

ამის შემდეგ მეფე ვახტანგმა დაიწყო ახლა ფეხი სპარსე-  
ლების შერიგებაზე; მათთან მოყერობა მოიწადინა. სპარსეთის  
მეფეს ურმისძეს დიდი საჩუქრები გაუგზავნა და სთხოვა ქალი,  
ბალენდუხტი, ცოლად. სპარსეთის მეფე თანახმა გახდა იმის და-  
სიძეებაზე, რადგან ბერძნებზე იყო გადამტერებული და უნდო-  
და ქართველი ხალხი თავის მომხრედ ჰყოლოდა. ამისათვის  
ვახტანგს თანხმობის წერილი მოსწერა და სახელად „ვახტანგ  
ვარან-ხევასრო-თანგ“ უწოდა. მეფემ შეირთო ცოლად  
სპარსელი ქალი. ამ მიზეზით სპარსეთი აღარ ემტერებოდა სა-  
ქართველოს. ხალხს უხაროდა, რომ ვახტანგი გონიერი, ჭუია-  
ნი და ძლიერი მეფე იყო.

მაგრამ თეიონმ მეფეს არ ეჭაშნიებოდა თავის სამეფოს  
მდგომარეობა; სწყინდა, რომ იმის ყმაწეილობაში ბერძნებმა და  
სპარსელებმა დიდად შეაწუხეს საქართველო. ამისათვის ირივე  
ეს ხალხები ეჯავრებოდა იმას: ორივესთვის მაგიერის გადახდა  
ეწადდა და ამისათვის მარჯვე დროს ეძებდა. ბედმა დიდხანს არ  
აცდევინა ვახტანგს. ბერძნებსა და სპარსელებს ამ დროს ერთმა-  
ნერთში დიდი მცირეობა ჰქონდათ. ურმისძმა შეატყობინა თა-  
ვის სიძეს: „ბერძნებს ჩემზე გამოლაშქრება განუზრახავთ, და  
გთხოვ შენ დაასწრო: შეხვიდე იმათ სამფლობელოებში და შეა-

ჩერია იმ დრომდე, ეიძრე მე მოვიცლიდე“. ოცითონ არ ეცა-  
ლა ამისათვის, რომ მმა, ზირუზა, ეჩეუბებოდა და უნდოდა მე-  
ფობის წართმევა.

ვახტანგს გაუხარდა ეს ამბავი, „შეპყრია თავისი მამაცი ლაშ-  
ქრი, აერეთე სომხების, აღირბეჯანის ჯარები, წაუძღვა წინ,  
გაიარა სომხეთი და გარს შემოვტოტყა მარნუ-ქალაქს ანუ მრჩე-  
რუსს. აქ დიდხანს იომეს, მაგრამ ქალაქს ისეთი მაღალი ქვი-  
ტყირის გალავანი ჰქონდა შემოვლებული, რომ ვახტანგის ჯა-  
რებმა ის ვერ დაიკირეს. ამასთანავე შავი ზღვით ბათუმის მაზ-  
რაში ბერძნების ჯარები შემოვიდნენ. ვახტანგი შიშობდა, მტერ-  
მა უკან არ მომიაროსო და გზა არ შემიკრასო. ამისათვის და-  
სტოვა მარნუ-ქალაქის გარეშემო ორი ერისთავი, 24 თასის  
კაცით და ოცითონ ბათუმისაკენ წავიდა. გზა-გზა იმან ჯერ და-  
იჭირა სამი ქალაქი ანძი ან ძორი, მკლეცი და სუერი, მერე ე  
მოვიდა ბათუმის მაზრაში. აქ ამ ღრუს მეუედ ლაზისტანისა,  
შობულეთისა, ზურისა, სამეგრელოსი და აფხაზეთისა იქ ვი-  
ღლაცა ბუბაძე. მს აქ გაამეფეს ბერძნებმა 452 წელს, როცა  
ვახტანგი ჯერ 13 წლისა იყო. ამ წყალობისათვის იმას ბერძ-  
ნების მხარე ეჭირა. ვახტანგმა შემოუტია და გაავდია ის ბათუ-  
მიდეან. ის წევიდა კუსტანტინეპოლის. ვახტანგი მარდვა ახლა  
ქალაქს პოსტანტის, ტაბაშიზონის მახლობლად მყოფს. აქ იმრეო-  
და ის საში თვეს და აჩპევდა არე-ზარეს. აღვა რომ შემოარ-  
ტყა ქალაქს და დაუწეულ ბრძოლა, მაშინ გასცა ბრძანება, არამ-  
ცა-და-არამც ეკლესიებისათვის ხელი არ ეხლოთ და ტკიცდ და-  
კერილი სამღვდელო პირნიც. პირ-და-პირ მასთან წარედგინათ.  
ამასობაში ბერძნის ჯარებმა იმატეს: საქმე გაჭირდა და ბრძო-  
ლა საში შარი შეიქმნა. ვახტანგმა დაიწევა მოსტანტი ქალაქის  
სამღვდელოებასთან მშეიღლობიანობაზე და შერიგებაზე ლაპარაკი.  
პეტრე მღვდელსა და სამღვდ მონაზონს უთხრა:

— მართველებსა და ბერძნებს მრისტეს რჯული გვიკირავს  
და დიდი ცოდვა არის ერთმანერთის ხოცვა, დარბევა, შეწყვე-  
ბა და ქვეყნების წართმევა. იმპერატორმა დამიბრუნოს ყველა

ის მიწები, რომელიც საქართველოს ეკუთვნის და მაშინ მე იმას აღარ ვეჩხუბები.

შერიგების სურვილი მახტანგისა სამღვდელოებამ მოიწონა: მისცა მტკიცე პირობა, რომ უთუოდ შეგარიგებთ იმპერატორთან და შენს სურვილსაც ავასრულებინებთ. მაშინ ვახტანგმა განათავისუფლა საბერძნეთის ტკუები და სამღვდელოება. მაგრამ პეტრე მღვდელი და მონაზონი სამოელი მეცვლად შეინახა თავისთან.

ზანთავისუფლებულ სამღვდელოებამ ვახტანგის სურვილი იმპერატორს ლეონს შეატყობინა. ის თანახმა გახდა შერიგებაზე. ზაიმართა მიწერ-მოწერა. შუა-კაცებად სამღვდელო პირი იყვნენ. იმპერატორი დაპირდა ვახტანგს მამაპაპეული მიწა-წილის დაბრუნებას. ამ პირობის ასრულებისთვის შარტო ისა სიხშვა ვახტანგს — გაცირიდა სპარსეთს, აღარ ჰქონოდა იმასთან კაშირი და საბერძნეთის მეგობარი ყოფილიყო. ამ პირობაზე ვახტანგი ანახმა გახდა.

შერიგება რომ ასე გათავდა, მევე ვახტანგმა გაიზერაობით მოახდინა სამხედრო თათბირი. ზამოუცხადა სპარსეთისა და სომხების ჯარების უფროსებს:

— შავ ზღვაზე ბერძნის ჯარები გამოვიდნენ და შეიძლება გზა შეგვიკრან: აღარ გაგვიშვან არც საქართველოსკენ, აღარც სპარსეთისკენ, და ყველანი აქ ამოგვეწყევიტონ; სჯობს ხელი ავილოთ ქალაქის აღებაზე, უკან დაეიწიოთ, სომხეთისკენ, და მერმე შეერიგდეთ ბერძნებთანა.

შან დაწევაზე ისინი თანხმა გახდნენ, შერიგებაზე კი უარი სთქვეს. ვახტანგს ეს ეწყინა, გაალაცვა იმათგან ქართველების ჯარები, დაიწია უკან და უთხრა სომხებსა და სპარსელებს:

— რაღან არა გსურთ ჩემი რჩევა მიიღოთ, მანდ ბერძნები არიან და იომეთ თქვენა და იმათ, როგორც გნებავთ; მე კი ჩემის ჯარით არა მსურს მაგ ბრძოლაში გავერიო.

ვახტანგი ქართველთ ჯარებით განზე გადგა და დაუწყო

მეომართ ყურება. ასტუდა მრიძოლა. ბერძნებმა დაამარცხეს სპარსელები და სომხები; ამათი ჯარებიცა და უფროსებიც მთლად გასწყდნენ ოში.

ვახტანგს ეს ამბავი არ ეკაშნიკა. პრა ჰსურდა არც ბერძნებისა და არც სპარსელების გაძლიერება. იმისი გულითადი სურეილი მარტო ის იყო, რომ იმათ ერთმანერთი კარგად ვაკ ბლერტათ და შესუსტებულიყვნენ. იმას თვითონ უნდოდა ყველაზე ბატონობა. ამ განზრახვით ის თავს დაესხა დაღლილსა და დაქანულ საბერძნეთის ჯარებს და დიდად დაამარცხა. მაში მოჰკვდეს ჯარების უფროსი პოლიკარტოსიცა.

ამ გვარად ვახტანგმა ბერძნებიც დასაჯა და სპარსელებიც; ამოიყარა მათი ჯავრი საქართველოს წვალებისა და დარბევეისათვის.

თუმცა ნათქვამია: „ერთი მწევარი ორს კურდლელს რომ გამოუდგება, ვერც ერთს ვერ დაიკერსო,“ მაგრამ კუუანშა ვახტანგმა ეს მოახერხა. თავისის ცბიერებით დააუძლურა მტრები, მაგრამ თავი ისე მოიკატუნა, ვითომე ის მათი ერთგული მეგობარი კოფილირს და არა მტერი. მისწერა თავის სიმამრს, სპარსეთის მეფეს ურმიზდს, რომ შენის ერთგულებისათვის გავსწყოტე მე საბერძნეთის ჯარებიო. საბერძნეთის იმპერატორს შეუთვალა: „მე ნება მივეცი შენს ჯარებს სპარსეთის ჯარების დახოცეისაო, მაგრამ, როცა იმათზე გაიმარჯვეს, ისე გათამამდნენ, რომ ჩემი დამარცხებაც მოინდომეს და შემოებნენ ქართველთ ჯარებს; მაშინ ამათაც ვერ მოითმინეს, ასტუდა ბრძოლა და შენი ჯარები დამარცხდნენ. მართველინ არა ვართ ამაში დამნაშავენი. ბრძოლის მიზტი იყო პოლიკარტოსი, რომელიც უკვე მოჰკვდეს ოში. ამისათვის, იმედი მაქეს, არ გასწურებით ჩენზე და არ გადახვალთ თქვენს პირობაზეო.“ იმპერატორი კმაყოფილი დარჩა ამზაირის თავის მართლებითა და შეურიგდა ვახტანგს, დაუბრუნა უკან შეკი ზღვის პირად მდებარე მაზრები, გარდა აფხაზეთისა.

ამის შემდეგ ვახტანგმა შემოელო საქართველოსთან ახ-

ლად შემოქროთებული ქვეყნები, გამოიარა სამცხე-ქლარჯეთი, ნახა თუხარისის ცახე, მოეწონა ის და სთქვა: „ჰეშმარიტად თუ ხარ შენ ციხე!“ დააყენა აქ გამგებელად პროტესტი მრისთავი და უპრძანა აშენება „ციხე პროტანუჯის“, ეკლესიისა და ხევში მონასტრისა. „თუ კიდევ გაძლიერდებია სპარსელები, მაშინ თავი ამ მონასტრის ხეობაში უნდა შეეიჭაროთო,“ სთქვა მეფემ.

სპარსეთის ხელმწიფებულის ძალიან ეწინა ვახტანგის ასეთი ქცევა, მაგრამ მოუთმინა ამისათვის, რომ ეწინოდა მტრად არ გადამეტილოსო. მშვიდობიანობა გაერქელდა ურმიზღის სიკვდილამდე. ამის შემდევ სპარსეთში მეფევდ გახდა ფირუზა. როცა ვახტანგს პირველი ცოლი მოუკვდა და დაინიშნა საბერძნეთის იმპერატორის ქალზე, მლენეზე, იმას ძალიან ეწყინა ქრისტიან მეფების მოკვრობა და ემუქრებოდა საქართველოს. ამისათვის ვახტანგი ამაგრებდა თავის სამეფოს; ბევრს ალაგას ააშენა ციხე სიმაგრები, დააუნა შიგ ჯარები, შეკრა ყოველგან გზები და ასე მოემზადა გულადად დახველრიოდა მტერს.

სპარსეთის ხელმწიფებული გამოილა შეჩრა საქართველოზე. ამან გზა-გზა დაამარცხა სომხები და მოუხალოვდა სამეფოს. ვახტანგმა ეს ამბავი იმპერატორს ლეონს შეატყობინა და ჯარით შემწეობა სთხოვა; თვითონ მრისხანეთ მიეღება მტერს წინ. მის ჯარში კავკასიის მთიული ხალხებიც იყვნენ. მტერს ყოველგან ციხები, სიმაგრეები და სანგრები დაპირდათ. მხელობელ კოუკებში, სიმაგრეებში და ციხეებში მყოფი ჯარები საჩქაროდ შველოდნენ ერთმანერთს, როცა მტერი რომელსამე მათგანს მიადგებოდა.

თვითონ ვახტანგი იბრძოდა როვორც ლომი, როვორც გაშეოთებული მგელი. მას ესურა თავზე ჩაპალახი, რომელზე-დაც გამოხატული იყო წინ მგელი, უკან ლომი. ბრძოლის დროს, რომელს მხარესაც სუსტობდენ ქართველი, იქით მიკმართავდა ხოლმე. მტერნი ისე მემინდენ მისგან, რომ, დაინახა-დენ თუ არა, აფრთხილებდენ ერთმანერთს: „დურ აზ გორ-

გასალ,” რომელიც ქართულად ნიშნავს: „მოყრიდეთ იავსა  
მცლისასა.“ მშ მიზეზით ვახტანგს დაერქეა „ზორგასალი.“

ომი გაგრძელდა ოთხი თვე. ბოლოს იმპერატორმა ლეონ-  
მაც შეატყობინა ვახტანგს, რომ შემწედ ჯარს გიგზავნიო. ფი-  
რუზამ შეიტყო ეს ამბავი, შეშინდა და სოხოვა ვახტანგს შე-  
რიგება; მაგრამ იმან უარი შეუთვალა და თანაც დაემუქრა. მა-  
შინ უირუზამ იცნო ვახტანგი მეფედ, გამოუგზავნა უძერისასე-  
სი სამეფო გვირგვინი და სოხოვა კიდეცა ეინახულოთ ერთმა-  
ნერთიო. ამანაც გაუგზავნა თავის მხრით საჩუქრები და მეტმე  
დოდებული კაცებით მის სანახავადაც მიყიდა. თან ახლდა ავ-  
რეთვე საბერძნეთის ჯარების უფროსი ლეონ ანტიატრიკი. სა-  
ქართველო და სპარსეთი შერიგდნენ. უირუზამ მისუა ვახტანგს  
აღთქმა, რომ ის აღარ გაერქეა საქართველოს შინაურ საქმეე-  
ბში და აღარც მტერობას გაუწევს ქართველებს, მაგრამ მანც  
შიშობდა, საქართველომ არ მიღალატოსო. ამისათვის მოინ-  
დომა ვახტანგის დის კოლად შერთვა. მოყვრიობა მოხდა, სპა-  
რსეთის ხელმწიფე გახდა ვახტანგის სიძედ. სამი ხელმწიფე დაუ-  
ნათესავდნენ ერთმანერთს. საქართველო დაშვიდდა; ჩადგა თა-  
ვის ცხოვრების კალაპოტში; ცხოვრება თავის ჩეეულებაზე იწყო  
და აღარავინ აწუხებდა მას.

მეღვემ ისეთივე წესი დაადგინა სამეფოში, როგორიც იყო  
მის გამოჩენილ წინაპართ დროს: დააყნა ერისთავებად თავისი  
ერთგული თავიდები: ჭუანბერი, დიმიტრი, გრიგოლი, ნერსა-  
რანი, ადარნასე, სამანგირი, ბაკური, ბრუტაზი, ნარსე და ბიჭ-  
რიტიანი. სამეფოს ბედი, ამათ ჩაბარა; მეფედ კი თავის მაგიე-  
რად თავისი უფროსი შეილი დაჩი დასვა და თვითონ იერუსა-  
ლიმის წავიდა სალოცავად. თან წაიყვანა ათი ათასი (10,000)  
ჯარის კაცი და ზოგიერთი მათგანი დაასახლა იქნე, იერუსა-  
ლიმის მახლობლად. ამათი შთამომავალნი დღესაც აქ არიან, მაგრამ ქართული აღარ იყიან.

იერუსალიმიდგან სპარსეთს წავიდა. აქედგან იმან და სპა-  
რსეთის მეფემ გაილაშქრეს ინდოეთს. აქაც ისახელა მან თავი

შეომრიობით და ვაკეაცობით, მასთან უცხო ხალხების განათლებული ცხოვრებაც ნახა. ამბობენ, აქედან რომ დაბრუნდა საქართველოში, თან აბრეშუმის ჭიის თესლი შემოიტანა და ქართველებს აბრეშუმის მოყვანა ასწავლაო.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვახტანგმა იმპერატორის ლეონის ქალი მღვენე შეირთო და მიიღო შზითვად ბფხაზეთი; გამოიწერა საბერძნეთიდან ნასწავლი კაცები, გახსნა სკოლები, ბრძანა სწავლება ყმაწვილებისა, დააყენა 12 ეპისკოპოსი და ქათალიკოზად ტრაპიზონელი პეტრე; გახსნა ავრეთვე ზარაფხანა და მოსკოვი თავის სახელობაზე ფული; მჩავალებან ააშენა სოფლები, ქალაქები, გაიყვანა უდაბურს ადგილებში სარწყაფი არხები, დაიწყო აშენება მცხეთის ეკლესისა და თბილისის ქალაქისა.

ამბობენ, რომ ვახტანგის დროს იმ ალაგას, საცა ეხლა თბილისია, დიდი დაბურული ტყე იყოთ. მრთელ აქ სანადო-როდ წამოვიდა მეუე. ნახა ხოხობი, მიუტივა მას ქორი; ის გაეკიდა უკან დაჭიხანგლა, ხოხობი ჩამოვარდა აბანოს ცხელ წყალში, ზეეიდნ ქორიც და ორივენი მომხარენენ. მეუე მიუ-და, ნახა ცხელი წყალი, გაუხარდა მისი პოენა, დაათვალიერა აჩე-მარე და მოეწონა ეს ადგილი. ვახტანგმა აქ ააშენა ქალაქი. თბილ წყლების მიზეზით დაერქვა სახელად „თბილისი“; გადმოვიდა მცხეთიდან და დასახლდა აქ. ამ დროიდან თბილისი საქართველოს სატახოო ქალაქად გახდა,

ვიდრე ვახტანგი სამეფო საქმეებს ასე გაარიგებდა და ყოველივეს თავის რიგზე მოაწყობდა, სპარსეთში მოკედა იმისი სიცე ზირუზა და ხელმწიფედ გახდა მაბადა, რომელიც ძალიან მძღავრი კაცი იყო. ამან ასტერა საბერძნეთთან ჩხუბი და ვახტანგსაც შემწეობა სთხოვა; მაგრამ იმან არ მიიღო მისი თხოვნა და უთხრა ელჩებს:

— მესმის თქვენი მეფის თხოვნა; იმას ჰსურს მე ხმალი გაულესო, რომ მერე მეუე მარჯვედ გამბაროს. ამაზე არის ნათქვამი: „მვედელო, გალესე მახვილი შენი, რომ ბასრად განე-

წონის ის ასოთა შენთა!“ შოთარით ოქენეს მეფეს: ჯერ მო-  
 ვიდეს ჩემთან, იომის, მერე საბერძნეთზე გაიღა შექოს. მე  
 ქრისტიანი ვარ და ნებას არ მიეცემ იმას, რომ ჩემის რჯულის  
 ხალხი შეაწუხოს.

მაბადას ეწყინა ამაყი პასუხი ვახტანგისა; გამოიღა შექა,  
 შემოიარა შეგნით-ქახეთი, დაიკირა მიზიყი, ჭერიმის-ციხე და  
 ველის-ციხე; მერე გადმოიგიდა ბარეთ-ქახეთს და დაიბანა აა მდი-  
 ნარე იორის პირზე. აქ იმას წინ გადაუდგა ვახტანგი. ამან  
 გაპყო თავისი ჯარი სამად. უჯარიმის პირდაპირ ველზედ ერთი  
 რაზმი დააყენა მარჯვნივ, მეორე მარცხნივ და თვითონ თავის  
 სამეფო ჯარით, სეფე-წულებით, შუაში ჩადგა. სამს დღეს გაგრ-  
 ძელდა ომი. მორივე მხრით ბევრი ხალხი დაიხოცა. მესამე ღა-  
 მეს ვახტანგმა უთხრა პეტრე მათალიკოზს, რომელიც მეფეს-  
 თან ბრძოლის ველზე იყო:

— ვიცი, კაბადა შრისტის მტერია და არა ჩემი: იმას უნ-  
 და ქართველები თავის რჯულზე მიაქციოს. მე არა მსურს ესა.  
 ამისათვის მწარიან ხვალ გულადად შევება მტერს, რომ ან ჩე-  
 მი ჯარი გასწყდეს, ან მტერი დამარცხდეს!

მათალიკოზმა მოუწონა აზრი. გათენებისას ვახტანგი,  
 მართლაც, უეცრად დაეცა თავის ჯარით მტერს თავზე, ცხენ-  
 და-ცხენ მიეიდა მაბადას კარავთან, გადმოხტა ცხენიდგან, შე-  
 ვარდა შიგ კარავში; იქ დაპნედა მაბადას შეილი ბარტამ „მოპ-  
 კლა და მოპკეთა თავი“, მაგრამ ამ დროს ერთმა სპარსთავან-  
 მა ესროლა იმას ისარი, მოარტყა შიგ მკერდში და ისრის წევრ-  
 მა ფილტვამდე მიაწია.

ომი გაგრძელდა შუადღემდე. მტერი დამარცხდა და საჩ-  
 ქაროდ უკან დაიწია; მაგრამ, როცა შეიტყო ვახტანგი სასიც-  
 დილოდ დაჭრილიაო, გათამამდა, დაბრუნდა უკან, გამოიარა  
 აზამბურის მთა, მოეიდა მტკერის პირს, დაიკირა ქალაქი რუს-  
 თავი და ააოხრა. პქედგან შემოვიდა თბილისს. მერმე მიჰმართა  
 მცხეთას, მაგრამ აქ დაპნედნენ მას ერისთავნი; ნერსე, დიმიტრი

და ბიერიტიანი. მსენი გაუმკლავდნენ იმას და გაამრუნეს უკან. მტერი გადავიდა შარისის მხარეს და შეება ბერძნებს.

ამის შემდეგ ვახტანგი შეწყნდა. მისი ჭრილობა სასიცელილო იყო. დაიბარა მათალიკოზი პეტრე, ერისთავები, თავისი უფროსი შეილი დაჩი, ცოლი მლენე, ამისგან ნაყოლი თრი შეილი, ლეონ და მირდატი, და უთხრა ყველას:

— მე ვკედები და ოქვენ გთხოვთ იყვნეთ ერთგულნი ოქვენის საჩუღუნოებისა და სამშობლო ქვეყნისა; გქონდეთ ერთობა, ძმობა და სიყვარული; მტერს ნუ დააჩაგვერინებთ თავსა; იქონიეთ მშეიღობა და ერთობა ბერძნებთან და მეუედ გყვანდეთ ჩემი უფროსი შეილი დაჩი.“

ვახტანგმა იმედა 45 წელიწადი. მოკედა 499 წელს. მართველებმა დიდად იგლოვეს სიკედილი თავისი გმირი-მეფისა. დასაფლავეს დიდის დიდებით მცხეთის ეკლესიაში. მის სამარეს დადეს ქვა საფლავისა და ზედ გამოსჭრეს „ხატი მისი, სწორი არაკისა მისისა.“

მოვდ. დიმ. ჭავაშვილი.



ჰავა და მისი თვისებანი \*).

თავი VII.

წყლის მაღლა ასატანად საჭიროა მხოლოდ ზუმბის აწევ-  
 დაწევა,—მაშინ თითონ ჰაერი აიტანს წყალს. მაა, იფიქრეთ,  
 სადამდის ჟერძლება წყლის ატანა?

წყალი მაღლა ადის ჰაერის დაწოლისა გამო; მაშასადამე,  
 წყალი იქამდის აწევს ტუმბოში, სანამ წყლის სიმიმეს ან და-  
 წოლას ჰაერის დაწოლა აკარბებს ან ეთანაბრება. ზამოცდილე-  
 ბა გვიჩვენებს, რომ ტუმბოს შემწეობით წყალი მხოლოდ 34  
 ფუტის სიმაღლეზედ ადის და იმას ზევით კი აღარ.

აქედამ ჩენ შეგვიძლია ადვილად მიეხედოთ, რომ 34 ფუ-  
 ტის წყლის ბოასა და ჩენს გარშემო მყოფს ჰაერს ერთი და იგი-  
 ვე დაწოლის ძალა ჰქონიათ. აქედამვე შეგვიძლიან ვითიქროთ,  
 რომ, თუ წყალზედ მსუბუქი საღრეალი სხეული აეიღეთ, ის  
 უფრო მაღლა აიტანება ტუმბოთი, ვიდრე თეთონ წყალი; და  
 თუ საღრეალი სხეული წყალზედ მძიმეა, 34 ფუტსაც ვერ აა-  
 წევს.

შველა ეს ნამბობი და დასკვნანი თქვენ შეგვიძლოთ თეი-  
 თონვე შეგემოწმებინათ ცდათა შემწეობით, რომ საჭირო დი-  
 ღრონი კურკლები გქონდათ; მაგრამ, რადგან თქვენ ამ გვარ  
 კურკლებს ადვილად ვერ იშონით, ამიტომ, იმდინარე მაქს დამე-  
 რწმენებით ზემონათქამის სინამდევილეში. ამასთან ისიც უნდა  
 გითხრათ, რომ ყველა ესენი მეცნიერებისაგან უკვე ნაცარიც  
 არიან და განმარტებულნიც.

ადვილად და ნათლად გაგებისათვის იმისა, რომ მძიმე სა-  
 ღრეალი სხეული უფრო ვერ ადიან მაღლა ტუმბოთი, ვიდრე  
 მსუბუქი, წარმოიდგინეთ, თუ რა მოსდის სასწორის ცალ  
 თეთვეს მაშინ, როდესაც მეორეზედ საწონს სდებენ?

\*) იხ. „ნობათი“-ს № V და VI.

პირველი თევზი აიწევს, მეორე კი ძირს დაიწევს. პირველ თევზს რომ წერილ-წერილად პატარ-პატარა საწონები დააწყო, თან-და-თან ძირს დაიწევს და ბოლოს, როდესაც იმდონს დააწყობ, რამდონიც მეორეზედ აწყია, ორივ თევზები ერთ სიმაღლეზედ დადგება. ტუბო ცოტათი სასწორს წააგაეს: სასწორის პირველ თევზს ეთანაბრება წყლის ზედაპირი ტუმბოს გარეთ; მის საწონს ეთანაბრება ჰაერის დაწილა ამ ზედაპირზედ; მეორე თევზს—წყლის ზედაპირი ტუმბოში და მის საწონებს—სიმძიმე იმ წყლისა, რომელიც ტუმბოში უკვე ავა. რამდონიც საღვრელი სხეული შძიმეა, იმდონად იგი დაბლა აიწევს და ძლიერ ვერ ასცილდება ტუმბოს გარეთ მყოფს ზედაპირს; და აგრეთვე: რამდონიც საღვრელი სხეული მსუბუქი იქმნება, იმდონად იგი მაღლა აიწევს ტუმბოში.

გინახავთ თუ არა ფუქსი ან საბერველი, რომლითაც უბერავენ და აჩალებენ ცეცხლსა? (სურ. მ-18). როდესაც საბერველს გასწევენ, მაშინ იქ მყოფი ჰაერი უფრო კრცელს ადგილს დაიკრეს, გათხელდება; ამიტომ მას და—

**სურ. მ-18.** წოლის ძალა დაუმცირდება; გარეთა ჰაერის ძალა გადააჭარბებს და ეს ჰაერი კიდეც შევა მიღლიდამ საბერველში, რომლის გამოც უკანასკნელი გაიცხება ჰაერით, ან უკეთ ესთქათ, გაიბერება. როდესაც საბერველს დააწვებიან, შეჰქომებავენ, მაშინ შიგნითა ჰაერიც შეიუმშება, მოემატება დაწილის ძალა და ლონივრად გამოვა საბერველიდამ.

მხლა თქვენ ადეიოლად მიხედვით, თუ რა მოსდის ჰაერს მაშინ, როდესაც ჩვენ იმითა ესუნთქათ. შნდა იცოდეთ, რომ სუნთქვის დროს ჰაერი ჩადის ფილტვებში. ჰერ, სანამ ჰაერი ჩავა, ფილტვები გაიწევენ, დიდ ადგილს დაიკრებენ; ამის გამო იქ მყოფი ჰაერიც გაიწევს, გათხელდება, და, მაშასადამე, დაწილის ძალაც შედარებით გარეთა ჰაერთან, საკმაოდ დაუმცირდება და ამ დროს გარეთა ჰაერი თავის თავად ჩავა ფილტვებში.

ჩვენ ის გვეორნია, ვითომ თეითონ ჩვენ შევიზიდავთ ხოლ-  
მე ჰაერის სუნთქვის ღროს, მაგრამ ნამდგილად კი ესე არ არის: ჩვენ მხოლოდ ფილტვებს ვაგანიერებთ, ვაფართოვებთ და ჰაერი  
თავის თავად ჩადის. ამოსუნთქვის ღროს კიდევ ფილტვებს ჩვენ  
ვკუმშავთ, ვავიწროებთ,—და იქ მყოფი ჰაერის ნაწილიც ამო-  
დის.

იქნება თქვენ გიკვირდეთ კიდეც, თუ ასე დიდ, ხანს რად  
ებაასობ ჰაერის სიმძიმეზედ და მის დაწოლის ძალაზედ. იქნება  
ამბობდეთ: სიმძიმე ყოველს სხეულს აქვს, მაშასადამე, ჰაერსაც,  
როგორც ერთ სხეულთაგანს, უკველად ექნება სიმძიმეო. მართლაც, ერთის შეხედვით, ვითომ ეს გარემოება ადვილი მი-  
სახვედრია; მაგრამ ხალხმა და მათ შორის ზოგმა ძლიერ ჭიდა-  
მა და ლრმად მსწავლულმაც დიდხნობამდის ეს არ იცოდნენ.

მე თქვენ მოკლედ გიანბობთ, როგორ გაიგეს, რომ ჰაერს  
აქვს სიმძიმე. აქედამ თქვენ შეიტყობთ, თუ რა ადვილათ შეი-  
ძლება შეუდომაში შესელა რომელიმე მოვლენის გამოკველევის  
და განმარტების ღროს და რა ნაირად იბადება პირველი შეუ-  
დომის წყალობით მეორე და მესამე. აქედამევ შეიტყობთ, რა  
გვარის გაჭირებით და სიძნელით მიაღწევდნენ ხოლმე ნამდეილს  
ახსნამდის; შეიტყობთ აგრეთვე, რომ კეშმარიტების გავგისა-  
თვის ერთად-ერთი ლონისძიება—კაცმა ყოველი თავისი მსჯე-  
ლობა, ყოველი თავისი დასკვნა შემოწმოს ცილით. რამდენა-  
თაც თქვენს მსჯელობას, აზრს ხშირად შეამოწმებთ, გაიხილავთ  
ცდით, იმდენად იყი მართალი და კეშმარიტი იქნება.

შოველი მსჯელობა და რწმუნება გარეგნობით, რაც ვინ-  
და მართალი ხსანდეს, თუ კი იყი ცდას არ ეთანხმება, უკვე-  
ლად ცუურილი იქნება და ამიტომ უნდა მიეტოვოს.

შწინდელ ღროს ხალხი მაგრე რიგად ცდას არ ეწყობოდა;  
იმათ თავიანთი ლიტონი მსჯელობა უფრო მიაჩნდათ, ვიდრე  
ცდათა შემწეობით გამოაშარავებული კეშმარიტება და იმათი  
უმთავრესი შეცომაც ამაში მდგომარეობდა. აბა, ეს არის მი-

ზეზი, რომ უწინდელმა ხალხმა, შედარებით, ძლიერ ცოტა რამ იცოდა. გარეშე-მოარტყმულ ბუნებაზედ.

წყლის ტუმბო ძლიერ დიდი ხანია, რაც ხალხში ცნობილი იყო; მაგრამ ამასთან ის კი არ იცოდნენ, რომ იმათ იქ ჰაერი შეელოდათ. ტუმბოს მოქმედებას ისინი სრულიად სხვა ნაირად ჰქნილნენ.

მსწავლული ხალხი და მასთან სხვებიც დარწმუნებული იყნენ, რომ ბუნებას აქვს თავისი ჩვეულებები, სურვილი და ზიში. ასე, მაგალ., ეფონათ, რომ ბუნებას ეშინიან სიცალიერისა, უყვარს შეწყობილობა, შეხამება (პარმონია) და სხვ.

ამბობდნენ, მაგალ., რომ, როდესაც ტუმბოს ზუმბას ზევით ასწევენ, მაშინ ზუმბასა და წყალს შეა რჩება ცალიერი ადგილი და, რადგან ბუნებას სიცალიერისა ეშინიან, ამიტომ ეს ადგილი მაშინათვე წყლით გაიცხება ხოლმეო.

ვისაც სჯერა, რომ ბუნებას მართლა ეშინია სიცალიერისა, იმისათვის, რასაკირელია, ზემომოყვანილი მსჯელობა ადვილი დასაჯერებელია. საკირველიც არ არის, რომ ხალხი ამაში სრულიად დარწმუნებული იყო და ეჭვში არ შედიოდა,—ყველას ყური შეწევული ჰქონდა ამ გერი განმარტებისათვის და მთელი რამდენიმე საუკუნე კეშმარიტებათაც მიაჩნდა.

წყლის ტუმბოს მოქმედების მართალი ასწის და მასთან ჰაერის სიმძიმის აღმოჩენის მიზეზი იყო შემდეგი შემთხვევა. მს იყო ორას ორმოცდა-ათი წლის წინედ ჩვენ დროიდამ. ზალილები, გამოჩენილმა იტალიელმა მეცნიერმა, შემთხვევით დაინახა წყლის ტუმბო შესანიშნავი სიგრძისა.

მს ტუმბო ზოგჯერ კარგად მოქმედებდა, ზოგჯერ კი სრულიადაც არა.

ამ ტუმბოს წყალი კიდამ ამოჰქონდა. გალილეიმ ათვალიერა ტუმბოს მოქმედება და შენიშვნა შემდეგი: სანამ წყალი კაში მაღლა იღვა, ტუმბოც კარგად მოქმედებდა: წყალი. მშვენიერად ამოჰქონდა ზევით; როდესაც კი წყალი კაში ერთს შენიშნულს ადგილს ძირს ჩასცილდებოდა, მაშინათვე ტუმბოს

ველარ ამოჰქონდა. გალილეის ეგონა ტუშბო მოშლილი იქნება და ეს არის მიზეზიო; დაუძახა ოსტატს, მეხანიკოსს, რომელმაც გაშინჯა ტუშბო. მეხანიკოსმა გასინჯა და გალილეის მოახსენა, რომ ტუშბოს აჩაფერი სჭირს-რა და წყლის ამოუსელელობის მიზეზი ტუშბოს მოშლილობა კი არ არის ჭაში, მდგრადი წყალი, რომელიც ამოლების ღროს ძირს დაიწევს ხოლმეო.

ამასთანავე მეხანიკოსმა დაუმატა კიდევ, რომ მე მაგ გვარი შემთხვევა ხშირად მინახავსო: შემინიშნავსო, რომ წყალი ტუშბოში აღის მხოლოდ ერთს წერტილამდის, რომლის ზევითაც რაც გინდა ღონისძიება იქმარო, ტუშბოს ველარ ააქვსო.

გალილეიმ ამის შემდეგ ძლიერ ბეჭრი იფიქრა: სცდილობდა გაეგო ნამდევილი მიზეზი ამ გარემოებისა. ბოლოს, მამინდელ ღროის კვალობაზედ, მოაგვარა კიდეც ახსნა; მაგრამ ის ძევლინდელი ცრუ-რწმუნება, რომ ბუნებას ეშინია სიცალიერისათ კი თავიდამ ვერ აიცინა. ნამდევილი ახსნა ამ მოვლენისა მხოლოდ მიმა მოწაფებ ტორიიჩელლიმ დაგვიტოვა.

ტორიიჩელლიმ თავისი სიცოცხლე ფიზიკის შესწავლაში გაატარა. ნამეტნავად სწავლობდა ის სხვა-და-სხვა გვარ თვისებებს, რომელნიც საღრევლი სხეულების სიმძიმისგან წარმოსდგებიან.

როდესაც შეიტყო გალილეის და მეხანიკოსის ბაასი, ტორიიჩელლიმ იფიქრა, იქნება ჰაერსა ჰქონდეს სიმძიმე და ამ სიმძიმესა ჰქონდეს რამე მნიშვნელობა ამ შემთხვევაშიო. მარტო ამ ფიქრით არ დამაყოფილდა ტორიიჩელლი: მოინდომა თავისი ფიქრი სხვა-და-სხვა ცდებით შეემოწმებინა. საცდელად წყალი არ გამოდგა; შედარებით წყალი მსუბუქია, ამიტომ ტორიიჩელლი ჰეთიქობდა, რომ ის ჰაერს ააქვს მაღლა. ტორიიჩელლიმ გარდასწყვიტა, აელო ცდისათვის წყლის მაგივრად ვერცხლის წყალი (სინდიკი). ვერცხლის წყალი  $13\frac{1}{2}$ -ჯერ უფრო მძიმეა წყალზედ; ამიტომ ტორიიჩელლიმ წინაოვე გამოიინგრიშა, რომ ვერცხლის წყალი ტუშბოში ჰაერმა  $13\frac{1}{2}$ -ჯერ უფრო დაბლა უნდა აიტანოს, ვიდრე წყალით, ე. ი. 34 ფუტზედ კი არა,

არამედ 30 დუიმზედ, (თორმეტი დუიმი ერთი ფუტია). მაშა-  
სადამე, ვერცხლის წყლის ტუმბოსათვის საჭირო იყო მხოლოდ  
34 ან 35 დუიმის სიგრძე.

გარდა ამისა, ტორიჩელლი ამასაც ჰყიქრიაბდა: თუ კი  
წყლისა და სინდიკის ტუმბოში ასელის მიზეზი მართლა ჰაერის  
დაწოლა ან სიმძიმეა, მაშ ყოველ შემთხვევაში ისინი ერთ სა-  
მაღლეზედ არ უნდა აეიდნენ: მაღლა მთის წვერზედ ჰაერი უფ-  
რო ცოდა, ვიდრე ძირს,—მაშასადამე, ძირს ჰაერს სიმძემეც მეტი  
ექნება. ამიტომ ტორიჩელლიმ იფიქრა, უსათუოდ მთის წვერ-  
ზედ ტუმბო უფრო მაღლა ვერ აიტანს ვერცხლის წყალსათ.

შეს სჯიდა ტორიჩელლი. მაგრამ ტორიჩელლი არ ერწმუ-  
ნებოდა ხოლმე თავის ლიტონს ფიქრს,—იმას უკარდა ცდებით  
შეემოწმებინა ხოლმე თავის მსჯელობა.

ტორიჩელლის, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, არ შეეძლო  
ეცადნა; ამიტომ გაუგზავნა წერილი ერთს თავის ძმობილს, თა-  
ვისაენთ მეცნიერს აცს, პასკალს. ამ წერილში ტორიჩელლიმ  
დაწერილებით უამზო ყოველი თავისი ფიქრები, მისწერა ისიც  
თუ რა ცდებით შეეძლებოდა გამართლებულიყო მისი აზრები  
და თანაც სთხოვდა პასკალს ეცადნა კიდეც.

პასკალი გულ-მურვალედ მოეციდა ამ საქმეს. წაიყვანა  
თან ერთი მეცნიერთაგანი და ორნივენი ერთ მაღალ მთის ენ  
გამგზავრნენ. მეიოთონ პასკალმა გასინჯა, სადამდის ადის ვერ-  
ცხლის წყალი ტუმბოში მთის ძირას; მეცნიერი კი აგზავნა მთის  
წვერზედ და იქ იმავე ღრის იმასაც ესევე გაასინჯვინა.

ბოლოს ორთავემ შეადრეს თავიანთი დაკირცებანი და  
აღმოჩნდა, რომ, მართლაც, ვერცხლის წყალი მაღლა მთაზედ  
უფრო ნაკლებად ავიდა ტუმბოში, ვიდრე დაბლა, მთის ძირას.

დიდხანს არ უჯერიდნენ პასკალს ამ გარემოებას თვითონ  
მეცნიერებიც; ასე ძნელია კაცისათვის იმ აზრების გამოცვლა,  
რომლებსაც იგი შეჩევულია. მაგრამ ბოლოსა-და-ბოლოს, რო-  
დესაც მან უფრო ბევრი სხვა ახალი ცდები გამოივონა, მეცნიე-  
რებმაც ყველაფერი ირწმუნეს.

ამ გვარად ყველამ მიიღო ტორიჩელლის სწავლა იმაზედ,  
რომ ჰაერს ნამდეილად აქვს სიმძიმე და ეს სიმძიმე არის ნამ-  
დეილი მიზეზი იმისა, რომ ტუმბოში წყალი აღის.

მას შემდეგ ფიქრათაც კი აღარავის მოსელია, რომ ვითომ  
ბუნებას სიცალიერის ეშინოდეს და სხვ.

გ ა მ ა ც ა ნ ე ბ ი

1. ორი — ორშის ოდენი, თავი — გაგლის ოდენი,  
შემოჭრავს და დაიძახულს: შე კარ შეექნის ოდენი.
2. მაგარი რამე მინახავს გათლილი, წმინდის ქვისანი,  
მის გარეუქო. ზღუდე აქეს ჭიქასა ანუ ქვისანი;  
ბერსა უმაწვილად გარდაჭევებს, სრინება არის ღვთისანი,  
ამას კერვინ გამოიცნობს, მექრე, კერცა მისანი.
3. ზურგზედ ჰყიდია გროვები, თუმნები, მიღიანაა,  
ფასად გი ბევრად არა ღირს, ადგილი სამოვნელია.

მე-5 დ 6 № № ქვედამცების ახსნა.

1	3	8	2	6
3	6	4	5	2
2	7	3	5	3
8	3	1	3	5
6	1	4	5	4

2.	3	3	2	0	5
	3	2	0	5	
	2	0	5		
	0	5			
					5

არითმეტიკული გამოცხადის ახსნა.

1.— $99\%$  და  $999\%$ . 2.—შაპა, მამა და შვილი.

ახალგებული კითხვების ახსნა.

- 1.—იმიტომ, რომ ერთეულ ღღეს დამე მოსდევს. 2.—თებერვალში,  
რადგან ამ თვეს 28 ღღე შედგენს. 3.—დასჭირდება.



— ს ტ რ ი რ ი გ ა მ ა მ ც ე მ ე ლ ი დ ი . ს . ლ უ ლ ი ძ ე .